საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 52 (1068) | ხუთშაბათი, 11 მაისი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ედუარდ შევარდნაძემ მიიღო სავალუტო ფონდის დელეგაცია

8 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაცია განმკარგულებელი დირექტორის ბატონ მიშელ კამდესიუს ხელმძღვანელობით.

საუბრისას სტუმრებმა აღნიშნეს, რომ ვალდებული არიან დაეხმარონ ქვეყანას, რომელიც დაადგა დემოკრატიის გზას. ბატონმა მიშელ კამდესიუმ მხარი დაუჭირა სახელმწიფოს მეთაურის მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ კურსს და განაცხადა: „მთელ მსოფლიოს ვაცნობებ, რომ საქართველოში ჩადებული სახსრები დაკარგული არ იქნება“.

სტუმრებმა გააცნეს სახელმწიფოს მეთაურს პროგრამა, რომელსაც ივნისის ბოლოს განიხილავს საერთაშორისო სავალუტო ფონდი. პროგრამა ითვალისწინებს ერთწლიანი დახმარების გაწევას საქართველოს რესპუბლიკისათვის. დაგეგმილია მსოფლიო ბანკთან ერთად ამ პროგრამის სამწლიანი დახმარებით შეცვლა, რომელიც მოიცავს რესპუბლიკის საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, სხვადასხვა ჰუმანურ დახმარებებს, დახმარებას გაუწევს ისეთი რეგიონების რეკონსტრუქციას და აღორძინებას, როგორიცაა აფხაზეთი და სხვა. აქვე ბატონმა მიშელ კამდესიუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეთანხმება სახელმწიფოს მეთაურის მოსაზრებას დახმარების დროულად გაწევის თაობაზე.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს გაწეული სამსახურისათვის და აღნიშნა, რომ ამ ეტაპის გავლა, რომელზეც დღეს საქართველოა, რთული იქნებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაუჭერლად. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: „ჩვენი მიზანია საქმით დავარწმუნოთ, რომ გამოყოფილი სახსრები მიზანმიმართულად გამოიყენება“.

შეხვედრის დასასრულს გამოითქვა იმედი, რომ არსებული ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება და განვითარდება.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

• • •

გიორგი ზარაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მომავალშიც განაგრძობს საქართველოს დახმარებას

5 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები, მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელი და სხვა ოფიციალური პირები შეხვდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველ დირექტორს ბატონ მიშელ კამდესიუსა და მის თანმხლებ პირებს.

ბატონმა ფაცაციამ გააკეთა ინფორმაცია საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ განხორციელებული რეფორმების საშუალებით მიღწეულია გარკვეული შედეგები — გაუმჯობესდა საგადასახადო და საბაჟო სისტემა, მოხდა კუპონის კურსის სტაბილიზაცია, შეიქმნა უდეფიციტო ბიუჯეტი და სხვა. ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს საგარეო ვალების დასაფარავად. რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის სამომავლო დახმარებას, როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, აქ გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ ფულად-საკრედიტო სისტემის პარალელურად აუცილებელია მოხდეს ენერგოსისტემის განვითარებაც, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას აამუშაოს საწარმოები, აწარმოოს პროდუქცია.

ბატონმა კამდესიუმ განაცხადა, რომ მომავალში გაგრძელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება საქართველოს მიმართ. შემუშავდება სამწლიანი პროგრამა მაკროეკონომიკის სტაბილიზაციისათვის, საჭიროა უფრო აქტიური მუშაობა ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებზე. რაც შეეხება საქართველოს საგარეო ვალებს, როგორც ბატონმა კამდესიუმ აღნიშნა, სავალუტო ფონდი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება თურქმენეთის მთავრობასთან, რათა საქართველოს მიეცეს გარკვეული შეღავათები საგარეო ვალის დაფარვასა და თურქმენეთიდან გაზის მოწოდების საქმეში.

ითქვა აგრეთვე, რომ ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის მნიშვნელოვანია პრიორიტეტი მიენიჭოს კერძო სექტორს.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

შემობრუნების ეტაპზე

გაიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებლის მიშელ კამდესიუს პრესკონფერენცია, რომლის საქართველოში ვიზიტის მიზანი იყო გაეცნო, თუ როგორ მიმდინარეობს აქ ეკონომიკური რეფორმები, და განესაზღვრა შემდგომი ეკონომიკური დახმარების გზები და ოდენობა.

ბატონ კამდესიუს აზრით, საქართველო თავისი ისტორიული განვითარების შემობრუნების ეტაპზეა. უძველესი ისტორიისა და მდიდარი კულტურის ქვეყანა, რომელსაც დიდი ეკონომიკური პოტენციალი აქვს და არაერთხელ მიუღწევია აყვავებისათვის, მაგრამ დღეს კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდა და ძალღონეს არ იშურებს თავს დატეხილი უამრავი პრობლემის გადასაწყვეტად, — ეს ქვეყანა მსოფლიო გაერთიანების მხარდაჭერას იმსახურებს.

მომავალი სამი წლის განმავლობაში საქართველოს გადასაწყვეტი აქვს ეკონომიკის სტაბილიზაციის მრავალი უაღრესად რთული ამოცანა და მას ახლა დიდი ხელშეწყობა სჭირდება. სწორედ ამიტომ ბატონი კამდესიუ ჰპირდება გახდეს როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ასევე სხვა საზღვარგარეთელი კრედიტორების მხრივ ფინანსური დახმარების კატალიზატორი, მაგრამ ეს დახმარება მხოლოდ ბიძგია საბაზრო რელსებზე გადასვლისათვის. შემდგომში ყველაფერი თავად რესპუბლიკაზე იქნება დამოკიდებული, — ეს არის ბიუჯეტის შესრულების, საზღვარგარეთის ვალების დაფარვის, მოსახლეობის საგადასახადო დისციპლინის განმტკიცების მკაცრი ღონისძიებანი.

გამოყოფილი კრედიტები 80 მილიონი დოლარის ოდენობით, როგორც პირველ ეტაპზე — გასული წლის დეკემბერში, ასევე მეორე ეტაპზე — მიმდინარე წლის ივნისის დამლევს, — მოხმარდება ეკონომიკის სტაბილიზაციასა და წარმოების აღორძინებას, რასაც შემდგომ მოჰყვება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. მაგრამ ჯერჯერობით რეფორმების პროცესი უაღრესად მტკივნეულად მიმდინარეობს ისევე, როგორც მსგავს მდგომარეობაში აღმოჩენილ სხვა ქვეყნებში. მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ საქართველო დაადგება აღორძინების გზას — ამის საწინდარია რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოქმედება რეფორმების გაღრმავებისა და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისათვის.

ვალერია ალაფიშვილი,
საქინფორმის კორ.

დავიცვათ ისტორიული სიმართლისა და სამართლიანობის სიმაღლე!

9 მაისს შუადღისას მოსკოვის პოკლონნაიას გორა აღმოჩნდა მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში — იქ გაიმართა მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. იგი ყურადღებას იპყრობდა როგორც წარმომადგენლობის მაღალი დონით, ისე იმ სიტყვებითაც, რომლებიც წარმოთქვეს რუსეთის მკვიდრთათვის ამ წმიდათაწმიდა ადგილზე მთელი რიგი სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურებმა — რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ძიან ძემინმა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მათ სიტყვებში გაისმა არა მარტო მიმდინარე ასწლეულის წარსულ მოვლენათა შეფასება, არამედ გამოიკვეთა პლანეტის სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის მომავალი ურთიერთობის კონტურებიც. სწორედ ამგვარი ჟღერადობა ჰქონდა ედუარდ შევარდნაძის გამოსვლას. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა სიტყვა წარმოთქვა პირველივე ორატორის — რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდინის შემდეგ და, როგორც ჩანს, შემთხვევითი როდი იყო ის, რომ ამით ხაზი გაუსვეს ქართველი ხალხის მნიშვნელოვან წვლილს არა მარტო მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების, არამედ ცივი ომის ნანგრევების გაწმენდისა და საერთაშორისო ურთიერთობაში ახალი აზროვნების დამკვიდრების საქმეში.

ედუარდ შევარდნაძის სიტყვა გამარჯვების 50 წლისთავის დღესასწაულზე

მშვენიერია ხვედრი რუსეთის სათაყვანო გორისა — იმ ადგილისა, სადაც მისი უწმინდესი სახელების წინაშე ქედს იხრიან და პატივს მიაგებენ ადამიანები.

დღეს აქ ჩვენ თაყვანი უნდა ვცეთ რუს გენიას, მოსკოვსა და მის უწმინდეს სახელებს, რუსეთსა და მის გმირობას.

არ არის საძრახისი თაყვანი ვცე მიწას, სადაც განისვენებენ ჩვენი წინაპრები — რუსეთის ყველა სამამულო ომში თავიანთი სამშობლოსთვისაც რომ იბრძოდნენ.

ვალდებული ვართ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, დავიცვათ ეს მაღლობი, ისტორიული სიმართლისა და სამართლიანობის მაღლობი, როგორც ჩვენი ძმები და მამები იცავდნენ დიდი სამამულო ომის უსახელო მაღლობებს.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ჭედდა გამარჯვების ზარს, მაგრამ სწორედ რუსულმა ლითონმა განამტკიცა იგი. შეუძლებელია თქვა ეს უკეთ, ვიდრე ითქვა გამარჯვების პარადის შემდეგ ორმოცდახუთში.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და გამარჯვების შემდეგ ყველას უკეთესი ცხოვრების იმედი ასულდგმულებდა.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ესწრაფვოდა ჭეშმარიტი სახელმწიფოებრიობის მოპოვებას. და ამ გზაზე პირველმა რუსეთმა გადადგა ნაბიჯი.

ორი საეტაპო მოვლენა — ფაშიზმზე გამარჯვება და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნა შეუძლებელი იქნებოდა რუსეთის გარეშე.

(დასასრული მე-2 გვ.).



პატივი მიაგეს ომში დაღუპულთა ხსოვნას

7 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ, პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ, რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა თევდორე რეუტმა გამარჯვების პარკში გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

გიორგი ცაბარელის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩვენ ამ ხსოვნის ერთგულნი ვართ

ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

ნახევარი საუკუნე გვაშორებს გაზაფხულის იმ დღეს, როცა ნაომარმა და დაღლილმა ჩვენმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა — ომი დამთავრდა! მაგრამ ამ უდიდეს სიხარულს უდიდესი დარდიც ახლდა თან — 700 ათასი ქართველი ვაჟკაციდან 300 ათასზე მეტი შინ არ დაბრუნდა, გმირული სიკვდილით დაეცა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ისინი ცოცხლობენ ყველა ჩვენგანის გულში, მათი ხსოვნა გვაფხიზლებს და სიკეთის, სიყვარულის, ერთგულების, ადამიანობისაკენ მოგვიწოდებს. მათი აჩრდილები დღენიადაგ გვმოძღვრავენ და შეგვახსენებენ ბრძნულ შეგონებას — „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“. ამ შეგონებას არ ეღალატება, მას გაფრთხილება და პატრონობა სჭირდება.

დროის გადასახედიდან ნათლად ჩანს უკვე ისტორიის კუთვნილებადქცეული იმ საშინელი ომის დეტალები. ყველასა და ყველაფერს თავისი სახელი ეწოდა, მოვლენები და ფაქტები შეფასდა. მაგრამ იმ გმირული 1418 დღე-ღამის ეპოპეა ჯერ კიდევ ელოდება პირუთვნელ მემატიანეს...

ულმობელი დროის ლოგიკით სულ უფრო მცირდება ნაომარ მებრძოლთა რიგები. სამწუხაროდ, ბევრი ვერ მოესწრო გამარჯვების ოქროს იუბილეს. სამარადისო დიდება მათ, ვინც „თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა“ და უდიდეს გმირობის ფასად მოიპოვა გამარჯვება.

დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა პატივს მიაგებს დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას, გულწრფელი მადლიერების გრძნობით იხრის ქედს ვეტერანების წინაშე, რომლებიც მიუხედავად დღევანდელი მძიმე ვითარებისა, ჭირთა თმენის, ზნეობის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ, კვლავაც იღვწიან მშობელი ერის საკეთილდღეოდ.

ყოველ ჩვენგანს ამ ომთან თავისი საკუთარი დამოკიდებულება გვაქვს. მაგრამ არის კიდევ საერთო-სახალხო ხსოვნა, საერთო-სახალხო ტკივილი და მზადყოფნა, რომ მილიონობით ადამიანთა სიცოცხლის ფასად მოპოვებულ მშვიდობას ვერავინ და ვერასდროს ვერ ხელყოფს...

7 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის წევრები, პარლამენტარები, საქართველოში აკრედიტებული საელჩოების წარმომადგენლები, სამხედრო პირები, ვეტერანები, აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგაციები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ.

სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დიდ სამამულო ომში დაღუპული ჩვენი თანამოძმეების ხსოვნას.

დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, ვეტერანებს გულთბილად მიესალმა და გამარჯვების დღე მიულოცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ.**

— ამ დღეებში ბევრი ითქვა საქართველოს წვლილზე ფაშიზმის დამარცხებაში, — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა. — **მართლაც უპრეცედენტო მოვლენაა, რომ პატარა ქვეყანამ, რომლის მოსახლეობა მაშინ 3 მილიონ-ნახევარს შეადგენდა და რომლის ტერიტორიაზე ფრონტის ხაზი არ გადიოდა, ფრონტზე 700 ათასი თავისი შვილი გაგზავნა. აქედან 300 ათასი ბრძოლის ველზე ან საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა.**

მინდა გამოვხატო ჩვენი ქვეყნის თაყვანისცემა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ვერ დაბრუნდნენ და ქედი მოვიხარო მათი ოჯახების, შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების წინაშე. მათ ამ ადამიანებმა დაუტოვეს დიდი სახელი, დიდი მაგალითი თავდადებისა, თავგანწირვისა სამშობლოსათვის, ქვეყნისა და ხალხისათვის. დღეს საქართველო ამაყობს იმით, რომ მისი ათეულობით შვილი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. ათასებმა თავდადებისათვის უმაღლესი შეფასება მიიღეს. საქართველოს ეს უნიკალური წვლილი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ რუს ჯარისკაც მიხეილ ეგოროვთან ერთად ჩვენს

(დასასრული მე-2 გვ.).

„ვიყოთ სამართლიანი და წინდახედული მოვლენათა და პიროვნებათა შეფასებაში, ასეთ შემთხვევაში გაცილებით უკეთ განვსაზღვრავთ გზებს, რომლებიც მშვიდობამდე და საყოველთაო კეთილდღეობამდე მიიყვანს მსოფლიოს“

ედუარდ შევარდნაძის 8 მაისის რადიოინტერვიუ

— **გასული** კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოში სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მიშელ კამდესიუს ვიზიტი, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა ორი მომენტი: ჯერ ერთი — საფინანსო წრეებში აღიარებული ფინანსისტი და ასეთი გავლენიანი სტრუქტურის ხელმძღვანელი დადებით შეფასებას აძლევს საქართველოში მიმდინარე რეფორმას, და მეორე — მოსალოდნელია შეღავათიანი კრედიტის მიღება სახალხო მეურნეობის პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის... — ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— ეკონომიკის სფეროში გასული კვირის ყველაზე საყურადღებო მოვლენა საქართველოში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ვიზიტები იყო. საზოგადოება საკმაოდ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანას ეწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელი ბატონი მიშელ კამდესიუ, სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში ბატონი შადმან ვალავი, მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი დეპარტამენტის დირექტორი ბატონი გრეისი, შესაბამისი დელეგაციები, ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენლები.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ასეთი მაღალი დონის ვიზიტები იმის დასტურია, რომ ქვეყანა სწორი გზით მიდის. რეფორმის კურსი, რომელიც უკვე შეუქცევადი გახდა, პრინციპში მართებულია და საერთაშორისო თანამეგობრობის რეალურ მხარდაჭერას პოულობს. ბატონი კამდესიუ ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა მსოფლიოს ფინანსურ წრეებში. ამიტომ, მის მხარდაჭერაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მათ შორის სარეზერვო კრედიტის — სტენდბაის, სისტემური ტრანსფორმაციის სესხის მეორე ტრანშის და ფინანსური დახმარების სხვა ფორმების მიღების პერსპექტივები. მაგრამ, ცხადია, უმთავრესია თვით საქართველოს მიერ სტაბილიზაციის ანტიკრიზისული პროგრამის თანამიმდევრული რეალიზაცია.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ბატონ კამდესიუს გამოსვლები, მასთან საუბარი, საქართველოში მიმდინარე პროცესების მისეული შეფასებები. ეს ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მხარდაჭერის პოზიციაა.

ამ თვალსაზრისით საკმაოდ დამაჯერებელია კუპონის კურსის გამყარების ღონისძიებათა შედეგები. რაზეც არაერთხელ მილაპარაკია. ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ბრუნვამ საანალიზო კვირაში საქართველოსათვის საკმაოდ მაღალ ზღვარს — მილიონ 700 ათას დოლარს მიაღწია. კომერციული ბანკების გაზრდილი მოთხოვნის მიუხედავად, ვითარება შიდასავალუტო ბაზარზე არ შეცვლილა. კუპონი წინანდებურად ინარჩუნებს თავის პოზიციებს უცხოური ვალუტის მიმართ. ამ კვირაში დოლარის გაყიდვის სურვილი გამოთქვა რამდენიმე კომერციულმა ბანკმა. ასევე დადებითი მოვლენაა, რომ ვაჭრობაში მონაწილეობდა ქუთაისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა, რომელიც ეროვნული ბანკის ქუთაისის განყოფილებასთან არსებობს და უკვე კარგა ხანია ინტეგრირებულია საბირჟო ვაჭრობის არსებულ ქსელში. ქუთაისის ბანკთაშორისო ბირჟის აქტიური მუშაობით საფუძველი შეექმნა თბილისსა და ქუთაისის რეგიონში ერთიანი უნიფიცირებული კურსის არსებობას. შემდეგში ასეთივე პერსპექტივა სხვა რეგიონებშიც გამოიკვეთება.

მაისის პირველ კვირაში გამართულ საბირჟო ვაჭრობაზე გაიყიდა 140 მილიონი რუსული რუბლი. კურსი, პრაქტიკულად, იგივე რჩება: 1 რუსული რუბლი — 260 კუპონი.

კონვერტირებადი ვალუტის მიმართ კუპონის კურსის სტაბილურობის დადებითი ტენდენციების გაანალიზებასთან ერთად ეკონომიკურმა სამსახურებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ინფლაციური პროცესების დინამიკას. ის ოფიციალური აღრიცხვა, რომელიც ამ საქმეში არსებობს, ჯერ კიდევ სრულად არ ასახავს არსებულ ვითარებას. ფინანსური სტაბილიზაციის ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ეს პროცესები თანდათან უფრო მართვადი უნდა გახდეს.

წლევანდელი ოთხი თვის განმავლობაში სახელმწიფო რეგულირებადი ფასები, პრაქტიკულად, არ გაზრდილა. პირიქით, კუპონის კურსის გამყარების გათვალისწინებით, საწარმოების გამოცოცხლების ხელშეწყობისა და საგადასახადო დისციპლინის განმტკიცების მიზნით, ბუნებრივი გაზის ტარიფები 35 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიისა 25 პროცენტით შევამცირეთ. მაგრამ სამომხმარებლო ბაზარზე, სადაც უპირატესად რუსული რუბლი მიმოიქცევა, ფასები, მართალია წინანდელთან შედარებით ნაკლები ტემპით, მაგრამ კვლავ იზრდება. ეს, უწინარესად საწვავის ფასებს ეხება. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ბენზინის ფასი საკმაოდ ხელოვნურად გაიზარდა, რაც, ბუნებრივია, აისახება ჩვენს ბაზარზე, მაგრამ, ჩვენ მოულოდნელობის წინაშე არ უნდა აღმოვჩნდეთ. ყველაფერი წინასწარ უნდა გავიანგარიშოთ და მომზადებული შევხვდეთ ასეთ მოვლენებს.

ინფლაციური პროცესების მართვის სრულყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე საჭიროა გაგრძელდეს ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება მონოპოლიზებული სისტემის ეტაპობრივი რეორგანიზაციისა და ამის საფუძველზე მასში ფასწარმოქმნის მოქნილი მექანიზმების ჩამოყალიბების მიმართულებით. უნდა დაჩქარდეს ისეთი საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბება, როგორიცაა სასაქონლო, უწინარესად კი, სასოფლო-სამეურნეო ბირჟები. სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე საჭიროა შემუშავდეს ფასწარმოქმნის რეგულირების საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სპეციალური მექანიზმი.

ვფიქრობ, რომ ჩვენს საუბარს ისმენენ შესაბამისი სამსახურები და ყოველივე ეს მხოლოდ ზოგად ფრაზებად და მოწოდებად არ დარჩება.

როგორც ცნობილია, აქტიურ ფაზაში შევიდა ვაუჩერიზაცია — იგი თბილისის ყველა რაიონში, აგრეთვე სხვადასხვა რეგიონებში, დაახლოებით 20-მდე ქალაქსა და რაიონში მიმდინარეობს. ჩემი აზრით, მოვიდა დრო, როცა მინისტრთა კაბინეტმა გაფართოებული შემადგენლობით უნდა იმსჯელოს პირველ შედეგებზე. პრინციპში, იგი ნორმალურად მიმდინარეობს, მაგრამ სრული ანალიზისათვის საჭიროა გავერკვეთ, რა პროცესებთან გვაქვს საქ-

(დასასრული მე-2 გვ.).

გაეროს უშიშროების საბჭო განიხილავს აფხაზეთის რეგიონში არსებულ ვითარებას

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში კვლავ დღის წესრიგში დგას საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთის რეგიონში არსებული მდგომარეობის საკითხი. როგორც საქინფორმისათვის გახდა ცნობილი, მისი განხილვა ოფიციალურ სხდომაზე უახლოეს დღეებში მოხდება. ამჟამად საბჭოს დახურულ სხდომებზე რეზოლუციის შესაძლო ვარიანტები იხილება, იგეგმება კონფლიქტის მოგვარების პროცესის შემდგომი მიმართულებები, ყალიბდება შეფასებები, სავარაუდოა, რომ მიიღება გადაწყვეტილება გაეროს დამკვირვებელთა მანდატის გაგრძელების, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებთან მათი ურთიერთმოქმედების და მოვლენებზე საერთაშორისო კონტროლის შესახებ.

8 მაისს საქართველოს დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში არიან პრემიერ-მინისტრის მოადგილე თამაზ ნადარეიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, მინისტრის მოადგილე გიორგი ბურდული და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროსთან პეტრე ჩხეიძე, შეხვედრები გამართა უშიშროების საბჭოს მთელი რიგი წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან.

მიმდინარე თვეში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარესთან — საფრანგეთის წარმომადგენელ ჟანბერნარდ მერიმესთან, საბჭოს სხვა მუდმივი წევრი ქვეყნების — რუსეთის, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის, საბჭოს ახლადარჩეული წევრების — იტალიისა და გერმანიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში შექმნილი ვითარება, საქართველოს ხელისუფლების მიდგომები და პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით.

დავიცვათ ისტორიული სიმართლისა და სამართლიანობის სიმაღლე!

(დასასრული)

მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მშვიდობა და სტაბილურობა ევრაზიის უზარმაზარ სივრცეში, შეუძლებელი იქნებოდა მშვიდობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

სწორედ აქ, პოკლონნაიას გორაზე უპრიანია ითქვას, თუ რა ახალი მისია აკისრია ახალ რუსეთს: განამტკიცოს — დაუთრგუნავად, დაიცვას და შეინარჩუნოს — დაუშინებლად.

ამ მისიას საარსებო მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და სხვა ქვეყნებისათვის, რომლებმაც დამოუკიდებლობა, ისევე როგორც რუსეთმა, ტანჯვა-ვაებით მოიპოვეს. მას საარსებო მნიშვნელობა აქვს თვით რუსეთისთვისაც, რადგან მეზობელი ქვეყნების დამოუკიდებლობა, ერთიანობა, აყვავება — ახალი, ძლიერი, დემოკრატიული და ერთიანი რუსეთის გარანტიაა.

ის, რაც ცუდია პატარა საქართველოსათვის, — კარგი არ უნდა იყოს დიდი რუსეთისათვის. ის, რაც ცუდია რუსეთისათვის, — ასევე ცუდია საქართველოსთვისაც. ასე იყო ეს ისტორიულად.

ნამდვილი სიდიადე დანაწევრებული ქვეყნების ძირმორყეულ ფუძეს ვერ დაემყარება. პოკლონნაიას გორა გვცდის ჩვენ არა მარტო მონუმენტური ხელოვნების მოცულობითა და უნიკალურობით, არამედ ადამიანურობის მასშტაბითაც, როგორც დიადი გამარჯვების ადამიანური განზომილების ტოლფასი. იგი მოითხოვს:

— არ დავაკნინოთ მისი ჯარისკაცების გმირობა ჰიტლერულ ფაშიზმსა და იმ ქვეყანას შორის თანასწორობის ნიშნით, რომელსაც ისინი იცავდნენ;

— არ გავუთანაბროთ ევროპის ხალხთა განთავისუფლება მათზე ტოტალიტარულ ბატონობას;

— არ გავაიგივოთ ამ გმირობის სიმბოლო — გამარჯვების დროშა — ხალხთა დანაწევრებისა და კონტინენტების გათიშვის სიმბოლოებთან;

განმათავისუფლებელთა შთამომავლებმა დაანგრიეს გათიშულობის კედელი და ეს ევროპის მეორედ განთავისუფლება გახდა.

გამარჯვების ნახევარი საუკუნის იუბილე შეგვახსენებს:

— გამარჯვება შესაძლებელი გახდა ხალხებისა და ქვეყნების ერთიანობის წყალობით, და არა მათი შუღლით;

— იგი შესაძლებელი გახდა ლიდერთა უნარით ამაღლებულიყვნენ რელიგიურ, პოლიტიკურ, კლასობრივ, ნებისმიერ სხვა უთანხმოებებზე. მათ უკუაგდეს ყოველივე ეს უმთავრესის — გამარჯვებისათვის; დღეს ამაზე უკვე ილაპარაკა ბორის ნიკოლოზის ძე ელცინმა;

— იგი შესაძლებელი გახდა მათი საერთო ინტერესების პოზიციებიდან მოქმედების წყალობით.

მათ მოგვცეს ისტორიის ღია გაკვეთილი და დაგვანახეს მზადყოფნა ეზრუნათ ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობისათვის. ჩვენ ყოველთვის ვერ აღმოვჩნდით ღირსეული მოწაფეები. ცივ ომზე გამარჯვებამაც ვერ გვასწავლა ერთად და შეთანხმებულად მოქმედება.

მთავარი უბედურება ის გახლავთ, რომ ბევრმა ჯერ კიდევ ვერ გაიცნობიერა: მათი ეროვნული ინტერესები საიმედოდ შეიძლება იყოს დაცული მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა გლობალური დაცვის ფარგლებში.

დაე, პოკლონნაიას გორაზე დუმილის წუთი გადაიქცეს ამაზე ფიქრის წუთად.

დაე, ახლა მისი მწვერვალიდან გადაიშალოს საუკუნის ის სამანი, რომლის იქითაც კაცობრიობას თან აღარ გაჰყვება თავისი შეცდომები და ცდომილებანი.

●

სურათზე: ტრიბუნაზე; საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ალმართავს გვირგვინს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე.

საქინფორმის ფოტოქრონიკის სპეციალური კორესპონდენტის **ბონდო დვალიშვილის** ფოტო.

ფოტოები მიღებულია სატელეფონო ხაზით.

ჩვენ ამ ხსოვნის ერთგულნი ვართ

(დასასრული)

თანამემამულეს მელიტონ ქანთარიას წილად ხვდა საოცარი ხვედრი ისტორიაში — დამარცხებულ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღემართა...

საქართველოს უნიკალური წვლილი ამ დიდ გამარჯვებაში იმითაც გამოიხატა, რომ მთელმა მაშინდელმა საბჭოეთმა, ყველა ხალხმა, ვინც ერთად ებრძოდა ფაშიზმს, ბრძოლისა და გამარჯვების სადავე ჩვენს თანამემამულეს იოსებ სტალინს ჩააბარა. იმის შესახებ, თუ რა იყო მისაღები და რა მიუღებელი მის პიროვნებასა და მოღვაწეობაში, საჭიროზე მეტი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ვერავითარი სუბიექტური მოსაზრებები ვერ ამოშლის ისტორიიდან იმ მოსაზრებას, რომ სტალინი იყო ლეგენდარული ნებისყოფის ის პიროვნება, რომელმაც შეძლო ხალხების, რესპუბლიკების, ქვეყნების გაერთიანება ფაშიზმის დასამარცხებლად. ეს მართლაც უნიკალური მოვლენაა, რომ მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების ლიდერებმა სტალინმა, რუზველტმა და ჩერჩილმა, შემდეგ დე გოლმა, რომლებიც შეუთავსებელი იყვნენ თავიანთი იდეოლოგიური მრწამსის გამო, სძლიეს საკუთარ თავს, დადგნენ იდეოლოგიურ ინტერესებზე მაღლა და მოახერხეს მსოფლიოს გაერთიანება. ეს არ უნდა დავივიწყოთ, ეს შთამომავლობას უნდა გადავცეთ.

რუსი ხალხის როლზე ამ უდიდეს გამარჯვებაში სწორედ უმაღლესი მთავარსარდალი იტყვის. ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავს ძალა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ამჟამად ახალ დემოკრატიულ რუსეთს ახალი მისია დააკისრა ყოფილი საბჭოთა კავშირის — ახლა უკვე დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე გულითადად მიესალმა ამიერკავკასიაში რუსეთის შეიარაღებული ძალების დაჯგუფების მხედართმთავრებს, გენერლებს, ოფიცრებს, ჯარისკაცებს, დიპლომატიური კორპუსის, საელჩოების, სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციების, მისიების, ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ საიუბილეო ზეიმში.

— მივესალმები საქართველოს ყველა მოქალაქეს, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — უწინარესად, ახალგაზრდობას, რომელთა ხვედრი გახდა თავისუფალი, დამოუკიდებელი, ბედნიერი ქვეყნის აშენება.

განსაკუთრებულად მინდა მივესალმო დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს — ჩვენს არმიას, ერთიანს, მთლიანს, ქვეყნის ფარს, ჩვენი ძლიერების სიმბოლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის ბურჯს. ქართული არმია ჩვენს თვალწინ, ყველა მოქალაქის მონაწილეობით იქმნება. ჩვენი ეროვნული დღესასწაულის დღეებში გვექნება შესაძლებლობა ვნახოთ როგორია არმია დღეს, ვიხილოთ ჩვენი ჯარისკაცები, მათი მეთაურები, ჩვენი საბრძოლო ტექნიკა.

ჩვენს მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები მეზობელ ქვეყნებთან, მთელ გარემომცველ სამყაროსთან კეთილმოსურნე დამოკიდებულების შესახებ და ამავე დროს დიდ მეზობელთან — რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობის დამყარების თაობაზე — სწორი და გარდუვალი ნაბიჯია და ეს, უწინარესად, ეტყობა ჩვენი შეიარაღებული ძალების შექმნის პროცესს.

ასე მგონია, სანამ ადამიანებს ახსოვთ საშინელებანი იმ სასტიკი ომისა, სანამ მეხსიერება არ გვღალატობს, კაცობრიობამ უნდა შექმნას მშვიდობის საიმედო გარანტიები. ეს შეუძლია დღევანდელ მსოფლიოს. ვიდრე მწყობრში არიან ცივი ომის მონაწილენი, პლანეტის ყველა ხალხის ავტორობით უნდა შეიქმნას მშვიდობის კოდექსი, რომლის დარღვევაც უსასტიკეს სასჯელსა და რისხვას დაატეხს აგრესორს. სახელმწიფოებმა, რომლებიც გათიშული იყვნენ, მაგრამ დღეს გათიშული აღარ არიან იდეოლოგიური, კლასობრივი თუ რასობრივი შეუთავსებლობით, ხელი უნდა მოაწერონ საერთაშორისო კანონს, ქარტიას, რომლითაც ვალდებულებას იკისრებენ საყოველთაო ომი გამოუცხადონ სახელმწიფოთა დამანგრეველ, გარე თუ შინა დესტრუქციულ სეპარატისტულ ძალებს, მათ, ვინც საერთაშორისო მშვიდობას უშლის ხელს.

ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი ისიცაა, რომ რეჟიმი, წყობა, ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც სჩადის დანაშაულს — უნდა დაისაჯოს ისე, როგორც ეს ნიურნბერგის პროცესმა გააკეთა. ამ შემთხვევაში, სისასტიკე ჰუმანურობის გარანტიებს ქმნის. ამ ჭეშმარიტების დავიწყებამ ბევრი უბედურება მოუტანა მრავალტანჯულ საქართველოს, რომელიც ახლა დარწმუნდა იმაში, რომ სამართლიანობა აღდგება და ქვეყანა გამთლიანდება.

სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში, პოლიტიკაში მორალი და ზნეობა თვით პოლიტიკაზე მაღლა უნდა დადგეს. მხოლოდ მაშინ დამკვიდრდება სამართალი და ახალი წესრიგი მსოფლიოში. დედამიწაზე არიან დიდი და პატარა ქვეყნები, მდიდარი და ღარიბი ხალხები. პატარა სახელმწიფოების იგნორირება — მე მივმართავ ყოვლისშემძლე დიდ სახელმწიფოებს — [illegible] რუნდებათ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მოქმედებს [illegible] ტენდენცია. [illegible] — უწინარესად, მდიდრებო და ბედნიერებო — რაც გვაქვს. ათასები, მილიონები იმისათვის იბრძოდნენ (მარტო მეორე მსოფლიო ომში 27 მილიონი ადამიანი დაიკარგა), რომ მომავალი საუკუნის შთამომავლებისათვის დაეტოვებინათ ჩვენი პლანეტა — მუდმივი მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობის ერთიანი ოჯახი. მჯერა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ასეთი სამყარო იქნება და ამ ერთა სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მთლიანი, განუყოფელი საქართველო თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს. ჩვენ მოკლე დროში ბევრი ტრაგედია გადაგვხდა თავს. დიდი სამამულო ომის, ცივი ომის გაკვეთილების გარდა ჩვენ სხვა გაკვეთილიც მივიღეთ: თუ ერთად ვართ ქვეყნის ძლიერების სადარაჯოზე, მაშინ ერთიანი და ძლიერი იქნება საქართველო. გაუმარჯოს ასეთ საქართველოს!

შეკრებილთ გამარჯვების დღე მიულოცეს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალმა **თევდორე რეუტმა**, საქართველოს რესპუბლიკის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ, პარლამენტის ვეტერანთა საქმეების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, გენერალმა **ალექსანდრე ბერიძემ**, რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში **ვლადიმერ ზემსკიმ**, პროფესორმა **მანანა პაიჭაძემ**, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში **ანატოლი კასიანენკომ**, სომხეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სომხეთის ტრანსპორტის მინისტრმა **ჰენრიხ კოჩინიანმა**. პოეტმა **მიხეილ ქვლივიძემ** წაიკითხა ომში დაღუპული ძმისადმი მიძღვნილი ლექსი.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე**, სხვა ოფიციალური პირები.

საიუბილეო ზეიმი დააგვირგვინა დიდმა სადღესასწაულო კონცერტმა.

მერი ბაბრიაძე,
საქინფორმის კორ.



სურათებზე: დარბაზის ხედი; ვეტერანები საზეიმო სხდომაზე.
გიორგი შარაშენიძის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

პოლკოვნიკ გ. ლობჟანიძისათვის პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის უფროსის პირველ მოადგილეს გივი ლობჟანიძეს პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 7 მაისი.

„ვიყოთ სამართლიანი და წინდახედული მოვლენათა და პიროვნებათა შეფასებაში. ასეთ შემთხვევაში გაცილებით უკეთ განვსაზღვრავთ გზებს, რომლებიც მშვიდობამდე და საყოველთაო კეთილდღეობამდე მიიყვანს მსოფლიოს"

(დასასრული)

მე. ვიცი, რომ ბევრს უჭირს და ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად განთავისუფლდეს ვაუჩერისაგან. ზოგიერთი 5-10-15 დოლარად ჰყიდის. მაშინ, როცა, რამდენიმე თვის შემდეგ, მას სულ სხვა ფასი ექნება. პრინციპში საკითხი ასე უნდა დაისვას: საჭიროა მოწესრიგდეს ვაუჩერებით ვაჭრობის პროცესი და ადამიანებმა იცოდნენ, თუ რას წარმოადგენს ვაუჩერი, მისი დღევანდელი ღირებულება და რა სიმდიდრის წყაროდ შეიძლება იქცეს ის, რაც დღეს კაპიკების ფასად იყიდება.

და, კიდევ ერთი: გამოიკვეთა რეალური, დამაიმედებელი ტენდენციები წარმოების, კერძოდ, სამრეწველო წარმოების საქმიანობაში. მრეწველობის სამინისტროს ინფორმაციით, იანვარ-აპრილში წარმოებული პროდუქცია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13-15 პროცენტით მეტია. სამინისტროს შეფასებით, მარტში გამოშვებულია ერთნახევარჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე იანვარ-თებერვალში ერთად აღებული, ხოლო აპრილში იმდენი, რაც მთლიანად პირველ კვარტალში. პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდაა მიღწეული სამთო მრეწველობაში — იგი ხუთჯერ გაიზარდა, ქიმიურ მრეწველობაში — ორჯერ, ფარმაცევტულ მრეწველობაში — 89 პროცენტით, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში — 50 პროცენტით, ხელსაწყოთმშენებლობაში — 92 პროცენტით და ა. შ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ თვალსაზრისით მაისი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. იმედისმომცემი შედეგები გვექნება მსუბუქ მრეწველობაში. ამუშავდა გორის ბამბეულის კომბინატი. ზოგიერთი სხვა საბაზისო საწარმოებიც მუშაობს. ეს მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ათასობით და ათიათასობით ადამიანი დავასაქმოთ.

ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მინისტრთა კაბინეტის, უწყებების, სამინისტროების, სამხარეო, საქალაქო და რაიონული ხელმძღვანელების ოპერატიულობაზე, მოქნილობაზე, საქმის ცოდნასა და მათ აქტიურ როლზე ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

— გასულ კვირას სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით გაუქმდა 1993 წლის 16 სექტემბრის განკარგულება მაშველთა კორპუსის წევრებისათვის ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების დროებით მიცემის შესახებ. 2 მაისს თქვენ შეხვდით თელაველებს, შემდგომში გადადგმული ნაბიჯები პრესკონფერენციაზე თქვენ სწორედ კახელებთან შეხვედრითა და ხალხის ნებით ახსენით. პრესკონფერენციაზე ისიც აღნიშნეთ, რომ რაიმე განსაკუთრებულ გართულებას არ უნდა ველოდეთ. რატომ? იმიტომ, რომ მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობა ფიქრობს ასე კონსტრუქციულად, თუ იმიტომ, რომ სახელმწიფომ უფრო მეტი ძალა მოიკრიბა?

— ვფიქრობ, ერთიცა და მეორეც. სახელმწიფო ის აღარ არის, რაც იყო ერთი წლის, თუნდაც 5-6 თვის წინათ, დღეს სხვა ძალები და სტრუქტურები გვყავს, გასათვალისწინებელია შეგნებული დამოკიდებულება, რომელიც, უდავოდ გამოიჩინა მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობამ. ამ მოვლენაში ორი მხარეა აღსანიშნავი: ჯერ ერთი — მხედრიონელთა დამსახურების ღირსეული დაფასება, რაც არავითარ შემთხვევაში, არ უნდა დაგვავიწყდეს, (ეს კურსი კვლავაც გაგრძელდება და კიდევ უფრო მეტი გაკეთდება იმისათვის, რომ მათი წვლილი და ღვაწლი სამშობლოს ინტერესებისათვის ბრძოლაში ისე დაფასდეს, როგორც საჭიროა), და მეორე — სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენა მთელ ქვეყანაში. მისასალმებელია, რომ სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებამ, რომელიც თელაველებთან შეხვედრის შემდეგ გამოიცა, სრული მხარდაჭერა პოვა ჩვენს საზოგადოებრიობაში, პარლამენტში, მხედრიონელებში. ახლა მთავარია, ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული საქმე, რომელშიც მისასალმებელი და გადამწყვეტი სწორედ ნებაყოფლობითი პრინციპია. ამავე დროს ახალი პირობებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მინისტრთა კაბინეტმა უნდა განსაზღვროს მაშველთა კორპუსის როლი და ადგილი სახელმწიფოში.

მთელი სიმწვავით ვაყენებთ რეკეტის, მაფიოზების, გამომძალველების წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავების აუცილებლობას, რაც გარდუვალი პირობაა წარმოების, ვაჭრობის შემდგომი გამოცოცხლებისა, საბაზრო ეკონომიკის კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარებისათვის. ესე იგი, მთელი ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

— პარლამენტის სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს თელავში თქვენს მიერ ნათქვამ ფრაზას რუსთავში მომხდარი ცნობილი ინციდენტის პატიების შესახებ, პარლამენტარების გარკვეულმა ნაწილმა აღშფოთება გამოთქვა: სახელმწიფოს მეთაურს უნდა განეხორციელებინა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები და საერთოდ, რა უფლება აქვს მას ვინმეს აპატიოს ან არ აპატიოს დანაშაული. აღნიშნეს ისიც, რომ თქვენ არა გაქვთ უფლება დაიბაროთ პროკურორი. თელავში თქვენი გამოსვლა კი წინასაარჩევნო კამპანიად მონათლეს. საერთოდ, რა უფლებით სარგებლობს სახელმწიფოს მეთაური? თქვენი კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით...

— მე ასეთ განმარტებას მოგცემთ: რუსთავის ინციდენტი პრაქტიკულად, ქალაქის მერიისა და სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის რეზიდენციის დარბევა იყო. რა თქმა უნდა, ამას შედეგად უნდა მოჰყოლოდა მაშველთა კორპუსის მთელი ხელმძღვანელობის სამუშაოდან გადაყენება. ასეთი გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მიღებული, მაგრამ ასე არ მოვქცეულვართ. მე შევხვდი გიგა გელაშვილს, სხვა ხელმძღვანელებს, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და იქნებ, ასეთმა დამოკიდებულებამაც შეუწყო ხელი მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობას, რომ განესაზღვრა თავისი პოზიცია. გაგებით შეხვედროდა ჩემს ახლანდელ განკარგულებას იარაღის ჩაბარების თაობაზე, მე მომავალშიც ვითანამშრომლებ მათთან.

რაც შეეხება თვით ინციდენტს, როგორც ვიცი, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სახელმწიფოს მეთაური არ ერევა არც გამოძიებაში, არც სხვა პროცედურულ საკითხებში. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ თანამდებობის პირებმა ჩაიდინეს გარკვეული კანონთან შეუთავსებელი ქმედება, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება — გადაწყვეტილება მათი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის შესახებ. აურზაური ამ ფაქტთან დაკავშირებით (ლაპარაკი ხელისუფლების გადაჭარბებასა და ბოროტად გამოყენებაზე და სხვა) სრულიად უსაფუძვლოდ მიმაჩნია.

რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიას, ამის შესახებ გუშინ გორში ვილაპარაკე. სახელმწიფოს მეთაურმა, იმისდა მიუხედავად, წამოაყენებს თუ არ წამოაყენებს თავის კანდიდატურას რომელიმე რანგში, უნდა იმუშაოს და თავისი საქმე აკეთოს სწორედ ისე, როგორც მას კანონით აქვს დავალებული. კანონით, სხვათა შორის, სახელმწიფოს მეთაურს აქვს უფლება მოიწვიოს ყველა და წარმართოს სახელმწიფოს ცხოვრება ისე, რომ ქვეყანაში სტაბილურობა დამკვიდრდეს.

თუ თელავის შეხვედრა წინასაარჩევნო კამპანიაა, მაშინ წინასაარჩევნო კამპანია კარგი ყოფილა და მოვუწოდებ ყველას, მოაწყონ ასეთი შეხვედრები და დაამყარონ წესრიგი.

— თქვენ ბრძანეთ, რომ მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობა გაგებით შეხვდა ამ ფაქტს. განსაკუთრებით ეს რუსთავში იგრძნობოდა, პირველებმა იარაღის ჩაბარება რუსთავის მაშველთა კორპუსმა დაიწყო. იმავე რუსთავში ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ორი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საწარმო გაერთიანდა — „აზოტი" და „ქიმბოჭკო", დაინიშნა ახალი დირექტორი...

— ეს მართლაც აუცილებელი ნაბიჯი იყო. ორივე ერთმანეთთან დაკავშირებული საწარმოებია. „აზოტის" გარეშე „ქიმბოჭკო" ვერ იარსებებს, უფრო სწორად მისი მთავარი საბაზისო პროდუქტი კაპროლაქტამი, რომელიც „აზოტის" წარმოებაში მზადდება, ამ მონათესავე საწარმოების გაერთიანება უდავოდ დადებითი მოვლენაა. დირექტორად გამოცდილი სპეციალისტი ბატონი ძნელაძე დაინიშნა. საერთოდ, ეს ღონისძიება, რომელიც სამხარეო ადმინისტრაციისა და ქალაქის ხელმძღვანელობის ინიციატივით განხორციელდა, უდავოდ, მნიშვნელოვანი ფაქტია ეკონომიკის თვალსაზრისით და არანაკლებ მნიშვნელოვანი, ქალაქში წესრიგის დამყარების ინტერესების გათვალისწინებით. „აზოტს" ამ მხრივ ძალიან უჭირდა. მას ბევრი ისეთი მიეტმასნა, რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვთ ამ კოლექტივის, ქვეყნის ინტერესებთან. ხშირი იყო დატაცება. უზარმაზარი ქონების განიავება. ვფიქრობ, რომ განხორციელებული სერიოზული ორგანიზაციული ღონისძიება გარკვეულად გააჯანსაღებს რუსთავში საერთო ატმოსფეროს.

— ხვალ 9 მაისია. თქვენ ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაში მონაწილეობდით, შეხვდით ვეტერანებს, იყავით ვაკის პარკში. გუშინ იყავით გორში, სადაც, ალბათ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ახლად დანიშნული რწმუნებულის საქმიანობის პირველი შედეგების განხილვა იყო. დღეს მოსკოვს მიემგზავრებით. ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გარდა, მოსკოვის შეხვედრები, სხვა მხრივაც ითხოვს ყურადღებას. ჯერ ერთი — ცნობილი პოტსდამის, თეირანისა და იალტის კონფერენციების შემდეგ ძველ მოკავშირეებს პირველად აქვთ შესაძლებლობა კვლავ ერთად შეიკრიბონ და იმსჯელონ მშვიდობის შენარჩუნების საკითხებზე. საინტერესო იქნება ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ხელმძღვანელთა შეხვედრაც, რომელზეც, სავარაუდოა განიხილონ ისეთი თემები, როგორიცაა ირანი, ბოსნია, ჩეჩნეთი და ნატოს საზღვრების გაფართოება...

— ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის აღნიშვნა საქართველოში საკმაოდ შთამბეჭდავად მიმდინარეობს. მთავარი ის არის, რომ ამ დღეს ზეიმობს ყველა თაობა და არა მხოლოდ ვეტერანები. ეს ნათლად ჩანდა ვაკის პარკშიც, ფილარმონიაშიც, ქალაქ გორშიც. მთავარია, რომ არავინ და არაფერი არ დავივიწყოთ, ვიყოთ სამართლიანი და წინდახედული მოვლენათა და პიროვნებათა შეფასებაში. ასეთ შემთხვევაში გაცილებით უკეთ განვსაზღვრავთ გზებს, რომელიც მშვიდობამდე და საყოველთაო კეთილდღეობამდე მიიყვანს მსოფლიოს. ჩემს მიერ გორის მონახულებას ეს პრინციპიც ედო საფუძვლად. მადლობელი ვარ გორელებისა სამართლიანობისა და სითბოსთვის, მხარდაჭერისათვის.

რაც შეეხება მოსკოვის შეხვედრებს, თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ფორუმის დიდი საერთაშორისო ხასიათი ბევრ რამეს მოწმობს. შთაბეჭდილებებს და უფრო ზუსტ წარმოდგენებს იმ მოვლენებზე, რომლებთანაც გვექნება საქმე მოსკოვში, დაბრუნების შემდეგ მოგახსენებთ.

და ისევ გორის შესახებ. გაიმართა საქმიანი საუბარი. ძალზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს სამხარეო ადმინისტრაციის ახალგაზრდული შემადგენლობა, ბატონი ბადრი ხატიძე, იქ წარმოდგენილი გამგებლები და სხვები. კარგია, რომ დიალოგში მცხეთა-თიანეთის რწმუნებული შალვა ობგაიძე მონაწილეობდა. ბევრი საინტერესო წამოწყებაა და მეც იმედიანად დავბრუნდი. ჩემი განწყობილება შიდა ქართლის მოსახლეობის განწყობილებასაც შეესაბამება. ღმერთმა ქნას, რომ იმედი არც ხალხსა და არც მე არ გაგვიცრუვდეს.

ედუარდ შევარდნაძე გორში

7 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გორში გვირგვინით შეამკო სტალინის ძეგლი, მოინახულა სტალინის სახლ-მუზეუმი, ესაუბრა გორის მოსახლეობას.

გამგეობის შენობაში გამართულ აქტივის კრებაზე სახელმწიფოს მეთაური შეხვდა ომის ვეტერანებს, შიდა ქართლის რაიონების გამგებლებს, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს.

შეხვედრაზე ისაუბრეს შიდა ქართლის რეგიონში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებაზე, რომელიც მაშველთა კორპუსის წევრთა მიერ იარაღის ჩაბარებას ითვალისწინებს. შიდა ქართლის რეგიონის მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელმა დადებითად შეაფასა ეს გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ რეგიონში იარაღის ჩაბარება უპრობლემოდ გადაწყდება.

პარლამენტის სპიკერის ბატონ ვახტანგ გოგუაძის გამოსვლა, უმთავრესად, პარლამენტის მუშაობას შეეხო. როგორც მან თქვა, „პარლამენტარები სახელმწიფოს მეთაურს სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტისას ფაქტობრივად ხელს არ უშლიან. ისინი მხოლოდ ნერვული სისტემის მოშლით არიან დაკავებულნი".

სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა შიდა ქართლის რეგიონში ბატონმა ბადრი ხატიძემ ისაუბრა რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური, კრიმინოგენური ვითარების სტაბილიზაციის განმტკიცებისათვის მიმართულ საქმიანობაზე.

„ჩემი ჩამოსვლის მიზანია ქედი მოვიხარო სტალინის წინაშე ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში უდიდესი დამსახურებისათვის", — აღნიშნა თავის გამოსვლაში სახელმწიფოს მეთაურმა. აფხაზეთის პრობლემის მოგვარების თაობაზე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ იმედი გამოთქვა, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად გადაწყდება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო მზად უნდა იყოს პრობლემის სხვა გზით მოგვარებისთვისაც. ჩვენ ვქმნით რეგულარულ არმიას, რაშიც გვეხმარება რუსეთის მხარე. დარწმუნებული ვარ, განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა, რომ რუსეთთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

საქართველო მიიღებს ევროკავშირის დახმარებას

7 მაისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროკავშირის ეკონომიკურ დახმარებათა ხელმძღვანელი ჟან პიერ პიტერსი, საქართველოს რესპუბლიკაში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი დენის ქორბოი და საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბერნარ ფასიე.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს სახელმწიფოს მეთაურს მიღებისათვის. ვიზიტის მიზანი იყო გაეცნოთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისათვის ევროკავშირში შემუშავებული ეკონომიკური დახმარების ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების თანახმად კავკასიის რესპუბლიკები და მათ შორის საქართველო მიიღებს დახმარებას. ხელშეკრულების პროგრამის შესაბამისად ეს იქნება დიდი სახის დახმარება, რომელიც დაიყოფა სამ ეტაპად: ფინანსური სახის, დახმარება განკუთვნილი სოფლის მეურნეობისათვის და წმინდა ჰუმანური სახის დახმარება.

ბატონმა პიტერსმა ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ საქართველოს რკინიგზას ტვირთების გადაზიდვისა და, საერთოდ, ეკონომიკის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და გამოთქვა სურვილი და მზადყოფნა, რომ იგი თავის მხრიდან სათანადო ძალისხმევას არ დაიშურებს.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ მიმდინარე წელი საქართველოსათვის სტაბილურობის, პოლიტიკასა და ეკონომიკაში გარდატეხის წელია. დახმარებას კავკასიისათვის, მისი ქვეყნების ნორმალიზაციისა და სტაბილიზაციისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს რკინიგზა, მოწესრიგების შემთხვევაში, მოემსახურება არა მარტო კავკასიის რესპუბლიკებს, არამედ შეიძლება მეტადაც დაიტვირთოს.

სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა იმედი, რომ ზემოთხსენებული ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს დახმარებისა და თანადგომისათვის.

იურისტთა მსოფლიო ასოციაცია დაინტერესებულია თბილისში მოაწყოს კონფერენცია

7 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო იურისტთა მსოფლიო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ქალბატონი ჰენეზერი და ბატონი ალონზო.

იურისტთა მსოფლიო ასოციაცია ყოველწლიურად აწყობს ტრადიციულ კონფერენციებს, ე. წ. ოლიმპიადებს. ასოციაციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი 1996 წლის ოლიმპიადა თბილისში მოეწყოს. მასში მონაწილეობას მიიღებს ათასზე მეტი იურისტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ისინი იმსჯელებენ ყველა იმ იურიდიულ საკითხზე, რომელიც საინტერესო იქნება საქართველოსათვის.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო დაინტერესებულია ასეთი კონფერენციის მოწყობით. გადაწყდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც საკითხის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ მაისის ბოლოს მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური—საქინფორმი.



ყველას თავისი აზრი აქვს

წარსულს თუ დამბაჩას ესვრი, მომავალი ზარბაზანს დაგიშენს...

ბერლინამდე ჩასული ომგადახდილის შვილიშვილი ვარ და კარგად მახსოვს, რა საგანგებოდ ემზადებოდა ბაბუაჩემი 9 მაისის შესახვედრად. ერთი კვირით ადრე საგულდაგულოდ წმენდდა პიჯაკს, აპრიალებდა ორდენსა და მედლებს. ფრონტულ სიმღერებსაც ღიღინებდა, შიგა და შიგ კი „სადაურსა სად წაიყვანო", იტყოდა ამოოხვრით.

ბაბუაჩემი — თბილისელი ექიმი შალვა შუბლაძე ომით დაღდასმული 53 წლისა გარდაიცვალა. დიდებულად აღნიშნულ თხუთმეტ გამარჯვების დღესასწაულს მოესწრო მხოლოდ. ომის ვეტერანები მაშინ, როგორც ყველაზე ხაპატივცემულნი, წინა პლანზე იდგნენ. მერე — გუშინ, გუშინწინ, წითელ არმიასთან ერთად ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა ცოდვად ჩაუთვალეს და ომგადახდილებს აუგად მოხსენიება დაუწყეს. 9 მაისის დღესასწაულიც გაუფერმკრთალეს და ლამის ხმის ამოღებაც აუკრძალეს...

ცხადია, 9 მაისი მხოლოდ ხსოვნა, მხოლოდ წარსული არ არის, იგი ხომ მშვიდობის საყოველთაო დღეა?

ახლა თითქოს კვლავ დაფასდნენ ვეტერანები, 9 მაისიც კვლავინდებურად დღესასწაულია, მაგრამ არიან კი ადრინდელივით პატივში ისინი? ეზეიმებათ, უხარიათ?

პარლამენტართა აზრით:

ალექსანდრე ბერიძე — საქართველოს პარლამენტის ვეტერანთა საქმეების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი, პროფესორი.

— მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის დიდი სამამულო ომი იყო. ჰიტლერს საბჭოთა ხალხების გაჟლეტა, შემცირება, ზოგიერთისა კი სრული განადგურება სურდა. ეს ამკარა იყო და ომის თითოეული მონაწილეც ერთიანი ძალით თავისი სამშობლოს დასაცავად იბრძოდა. მე მოსკოვის მისადგომებთან ვიბრძოდი, მძიმედაც დავიჭერი. იქ წითელი ვარსკვლავის ორდენი მივიღე. ვიბრძოდი ბელორუსიაში, უკრაინაში, კურსკში, მაგრამ ყველგან ჩემი სამშობლოსათვის — საქართველოსთვის ვიბრძოდი.

დიდი მსხვერპლი გაიღო საქართველომ. ბევრი მამულიშვილი დაკარგა, ბევრიც დავბრუნდით. მაშინაც გვწამდა და ახლაც, რომ ჩვენი თავდადებით ფაშიზმი ავაცილეთ ქვეყანას. კარგა ხანს გვიფასებდნენ ამაგს... დღეს? გადარჩენილი ვეტერანები უმძიმეს პირობებში ვართ. ბევრი შიმშილით იხოცება, ბევრსაც სული კბილითღა უჭირავს. საშუალება არა მაქვს ღირსეულად ვუპატრონო მათ. ღონისძიებებს ვატარებთ, კანონებსაც ვიღებთ, მაგრამ რად გინდათ, ვერ ვასრულებთ.

ბოდიშს ვიხდი ჩემი საწყალი ვეტერანების წინაშე.

გგონიათ თავიანთი მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო საპროტესტო აქციებს ისინი ვერ მოაწყობენ? მაგრამ არა, იციან, რომ ქვეყანას უჭირს და მოკრძალებით იტანენ სიდუხჭირეს. თუმცა იმაში კი ემდურიან ხელისუფლებას, რომ ვერ ალაგმეს ის ყიამყრალი უსინდისონი, ომის ვეტერანებს ოკუპანტებს რომ გვეძახიან. რამდენჯერმე ასეთი ეპითეტი ზოგიერთისგან პარლამენტშიც გაისმა. რას ვიზამთ, ყველას თავისი აზრი აქვს, რასაც ძირითადად იმას ვაბრალებ, რომ დღეს არც არმიაში და არც მოსახლეობაში იდეოლოგიური მუშაობა არ არსებობს. აფხაზეთის ომის წაგებაც ნაწილობრივ ამის შედეგია.

არაერთხელ განმიცხადებია პარლამენტის სხდომაზე და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებთანაც და ახლაც გავიმეორებ:

დიდი სამამულო ომის ვეტერანები შიმშილით იხოცებიან, მიხედოთ, ბატონებო!

ზურაბ ბერიშვილი:

— არავითარი სამამულო ომი! ეს მეორე მსოფლიო ომი იყო. საქართველომ, როგორც მონაწილეობით, ისე დაღუპულთა რაოდენობით, დიდი მსხვერპლი გაიღო, და ვეტერანებიც ყოველგვარი დაფასების ღირსნი არიან, მაგრამ ეს არ იყო საქართველოს ფაშიზმზე გამარჯვება: ფაშიზმზე ამერიკამ, ინგლისმა, საფრანგეთმა და გერმანიამ გაიმარჯვეს, უნგრეთი, ბულგარეთი, პოლონეთი და საქართველო კი გაიწირნენ, ამიტომაც, გამარჯვების 50 წლისთავს სამართლიანად ზეიმობს დასავლეთ ევროპა. ჩვენ კი სადღესასწაულო არაფერი გვაქვს, რადგან 50 წელიწადი არანაკლებ დიქტატორულ რეჟიმში გავატარეთ, ვიდრე ფაშიზმი იყო. ამიტომ ისღა დაგვრჩენია, მოვუაროთ გადარჩენილ ვეტერანებს და ვიგლოვოთ დაღუპულები.

— ხომ არ გყოლიათ ვინმე ამ ომის მონაწილე?

— მამა, ბიძები.

— მერედა, აზიარებთ იმათ ღვაწლს?

— პირიქით, ვაფასებ! მაგრამ უპირველესად დასავლეთ ევროპის ქვეყნებისგან არიან დასაფასებელნი, რადგან გამოდის, რომ იმათთვის იბრძოლეს.

მიხეილ მჭედლიძე:

— ჩემი თითქმის ყველა ნათესავი ფრონტზეა ნამყოფი. რა თქმა უნდა, მამაჩემიც. საბედნიეროდ, ყველა ცოცხალი დაბრუნდა. იქნებ ამიტომაც, ჩვენს ოჯახში ყველაზე დიდი ზეიმი 9 მაისი იყო მუდამ. შეიკრიბებოდნენ და აუწერელი სიხარულით აღნიშნავდნენ გამარჯვებას. ეს ჩვენი ისტორიაა, რომლითაც გავიზარდეთ. გვწამს, ეს ფაშიზმზე გამარჯვება იყო. მაშინ ხომ ისინი ერთიანი ქვეყნის გადასარჩენად იბრძოდნენ. ერთ ქვეყანას ვაშენებდით, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით. ყოველ შემთხვევაში, ჩვენგან თუ რაიმე მიდიოდა, იქიდანაც ბევრი რამ მოდიოდა (ახლა რომ აღარც მიდის და აღარც მოდის, იმიტომაც ვართ ასეთ დღეში).

მამაჩემი პრაღის განთავისუფლებისათვის იბრძოდა. დაჯილდოებული იყო საბრძოლო წითელი დროშის ორდენით, მისი გარდაცვალების შემდეგ, მხოლოდ ეს ჯილდოღა დამრჩა, რომელიც დღეს, შავ ბალიშზე მიბნეული, ყველაზე ძვირფასი რელიქვიაა ჩემთვის. მაშინ ორდენებს ტყუილად არ არიგებდნენ. ეს ჯილდო ჩემთვის არა მარტო 9 მაისის სიმბოლოა, არამედ მამის ხსოვნაც. ხსოვნა იმისა, რომ არც ისე ჯაბანი მამა მყოლია და მინდა ეს გრძნობა ჩემს შვილებსაც ჩავუნერგო. მწამს, იმ ომში მამაჩემი საქართველოსთვისაც იბრძოდა.

რაც შეეხება 9 მაისის ზეიმის აკრძალვას, ან დაძალებით ზეიმობას, აბსურდია. როგორადაც უნდა აუკრძალო, თუ ხალხს ეზეიმება, იზეიმებს, დაძალებით — ხელებს ტაშით გადაიტყავებს, გულში კი შემოგაგინებს. ვიდრე ომგადახდილთა შვილები ცოცხლები ვართ, ეს ზეიმიც იქნება!

ვეტერანების წინაშე ვალში ვართ. საჭმელი სჭირდებათ, საარსებო პირობები. მეტი გაფრთხილება და მოფერება.

და მაინც, ვისთვის რა არის 9 მაისი?! ჩემთვის მშვიდობის დღეა, და კიდევ — მშვიდობის წყურვილისა. რადგან „მშვიდობა ძვირფასი თვალია, თვინიერ რომლისა არც ქვეყანასა ზედა და არც ცათა შინა ვერავითარი ბედნიერება ვერ შესაძლო არს".

რუსუდან ლორთქიფანიძე.

სხვას რაღა უნდა მოვთხოვოთ!

პოლემიკა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ა. წ. 8 აპრილს რუბრიკით „ყველას თავისი აზრი აქვს" გამოქვეყნდა წერილი, ხელმოწერილი „საქგეოლოგიის", „საქნავთობის" დეპარტამენტების ხელმძღვანელობის, აგრეთვე გეოლოგიური და სამთო საქმის სპეციალისტების მიერ, სადაც უარყოფითად არის შეფასებული საქართველოს პარლამენტის 1995 წ. 23 თებერვლის დადგენილება „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის და ლიცენზირების შესახებ".

დადგენილების არსია ის, რომ საერთო ეროვნული საკუთრებით ბუნებრივი რესურსებით (ჰაერი, წყალი, მიწა და წიაღისეული, ტყე და სხვა მცენარეული, გარეული ცხოველები და სხვ). სარგებლობა უნდა ხდებოდეს ლიცენზირებით და სარგებლობის რეგულირებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს. დეპარტამენტების ხელმძღვანელებისა და სხვათა აზრით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების (აღრიცხვა, ლიცენზირება, ზედამხედველობა, კონტროლი) მთლიანად გარემოს დაცვის სამინისტროსადმი დავალება „დაამკვიდრებს აბსოლუტურ გაუგებრობას", „გამოაცლის ამ საქმეს მეცნიერულ და სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებს", „დაარღვევს სახელმწიფო მართვის მთავარ პრინციპს" ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების სფეროში.

ბუნებრივი რესურსები (მიწის ნაწილის გარდა), როგორც ცნობილია, საქართველოშიც საერთო ეროვნულ კუთვნილებას წარმოადგენს. ამიტომ სახელმწიფოს ვალია მათი მოვლა-პატრონობა, რაციონალური გამოყენება, დაცვა, აღწარმოება და სხვა, არაგანახლებადი რესურსებით (წიაღისეული) სარგებლობისას დაზოგვითი პოლიტიკის განხორციელება, ბუნებრივი ეკოლოგიური სისტემების მაქსიმალური შენარჩუნება. სწორედ ამ ფუნქციის აღსასრულებლად ყველა ცივილიზებული სახელმწიფო ქმნის სპეციალურ სამთავრობო ორგანოს. ასევე იყო და არის საქართველოშიც. ჯერ კიდევ 70-იან წლებში შეიქმნა ჩვენთან ბუნების დაცვის (შემდგომში ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის, გარემოს დაცვის) სათანადო სამთავრობო ორგანო — დღევანდელი გარემოს დაცვის სამინისტრო.

ადრე არსებობდა ვიწრო-დარგობრივი უწყებებიც, რომელთაც ეკისრებოდა ამა თუ იმ ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობა (ნავთობი და გაზი, სხვა წიაღისეული, ტყე, თევზი და სხვ.). დღეს საქართველოში მათი შემკვიდრეებია სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი, დეპარტამენტები „საქგეოლოგია" და „საქნავთობი". მათ გარდა არაერთი სახელმწიფო სტრუქტურაა გაბნეული სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში, რომელთაც ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მოვლა-პატრონობასთან ერთად სამეურნეო-საწარმოო ფუნქციებიც გააჩნია.

სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის დებულების მიხედვით მისი ძირითადი ფუნქცია არის ტყით და სხვა მცენარეულით სარგებლობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ტყეების ნიადაგდაცვითი, წყალშემნახავი, წყალმარეგულირებელი, კლიმატმარეგულირებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური, რეკრეაციული და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების შენარჩუნება-გაძლიერება, ტყეების დაცვა. მაგრამ, იმავდროულად იგი ხელს უწყობს და განახორციელებს ტყით უწყვეტ სარგებლობას, საკუთარი საწარმოების შექმნას, ტყის მერქნიანი სახეობების თესლების, სამკურნალწამლო ნედლეულისა და არამერქნითი სარგებლობის პროდუქციის დამზადება-შესყიდვას, გადამუშავებას და რეალიზაციას, საკუთარ საქვეუწყებო საწარმოებში მაღაზიების, სავაჭრო სახლების და სხვა ობიექტების გახსნას, ბაზრობების მოწყობას, საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის რეკლამირებას მათი გასაღების მიზნით, აწარმოებს მოლაპარაკებას და დებს ხელშეკრულებებს როგორც რესპუბლიკის, ისე საზღვარგარეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. დეპარტამენტ „საქნავთობს", მისი დებულების თანახმად, წიაღის დაცვის დარგში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასთან ერთად მინიჭებული აქვს უფლება რესპუბლიკის ტერიტორიაზე აწარმოოს ნავთობზე და გაზზე სადაზვერვო, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, მათი მოპოვება, გადამუშავება და გადამუშავებული პროდუქციის რეალიზაცია, ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებასა და მოპოვებაზე ლიცენზიების გაცემა, „საქნავთობისათვის" გადაცემული ქონების გაქირავება, გაყიდვა, გადაცვლა, დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაცემა, იჯარით გაცემა. ასევე შეთავსებული აქვს დეპარტამენტ „საქგეოლოგიას" მონოპოლიური უფლებები სხვა წიაღისეულის მიმართ. იმის გარდა, რომ იგი განახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში წიაღის მიმართ ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას, წიაღის დაცვას, მის მოხმარებაზე კონტროლს და ლიცენზირებას, იმავდროულად ქმნის და აუქმებს „საქგეოლოგიის" უწყებრივ საწარმოო ორგანიზაციებს, ახდენს ცალკეული წიაღისეულის საბადოების ექსპლუატაციას, პროდუქციის დამზადებას და რეალიზაციას, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ეწევა წიაღისეულით კომერციულ საქმიანობას, თავად ადგენს სამეურნეო საქმიანობით მიღებული სახსრებისა და მოგების განაწილების წესს, ცენტრალურ აპარატს ინახავს დაქვემდებარებული ორგანიზაციების ანარიცხების ხარჯზე, აწარმოებს საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებს, აბანდებს სახსრებს საზღვარგარეთის ფირმებში.

ამ დეპარტამენტების დებულებებიდან ნათლად ჩანს, რომ ისინი არიან უწყება-მონოპოლისტები, საერთო ეროვნული საკუთრების ფაქტიური ბატონ-პატრონები. შეითავსეს როგორც ბუნებათსარგებლობის რეგულირების და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ასევე ამ რესურსებით მოსარგებლის ფუნქციები. და ეს იმ დროს, როდესაც დაწყებულია და ხორციელდება ბუნებრივი რესურსების განმკარგავი სახელმწიფო უწყებების განსახელმწიფოებრიობა, სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა (მაგ. „საქნავთობი"). საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ წერილის ავტორებს სააქციო საზოგადოებებისათვის სამთავრობო-აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ფუნქციების უფლება-მოსილების მინიჭება?

რატომ გამოიწვია „საქგეოლოგიისა" და „საქნავთობის" დეპარტამენტების ხელმძღვანელთა ასეთი რეაქცია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე ლიცენზიების გაცემის უფლების გარემოს დაცვის სამინისტროსათვის გადაცემამ?

ბუნებათსარგებლობის რეგულირება ლიცენზირების მეშვეობით ჩვენში პრაქტიკულად ახლა იწყება უნიტარული, ცენტრალიზებული განაწილების სისტემიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ლიცენზია არ ნიშნავს მარტივ ნებართვას ბუნებათსარგებლობაზე. ეს არის პირობების მთელი რიგი, რომლებსაც კისრულობენ ერთის მხრივ მესაკუთრე (ამ შემთხვევაში სახელმწიფო) და მეორეს მხრივ ინვესტორი, ლიცენზიის მთხოვნელი — კერძო პირი, არასახელმწიფო თუ სახელმწიფო ორგანიზაცია, შინაური თუ უცხოელი. პირობებში შედის რესურსის სახეობა, მოპოვების რაოდენობა, ლიცენზიის მოქმედების ვადა, სარგებლობის ტექნოლოგიური მხარე, გარემოს დაცვის პრობლემები, მათ შორის რეკულტივაცია, აღწარმოება. ლიცენზიაში განსაზღვრული უნდა იყოს გადასახადების ოდენობა და მათი განაწილების წესი, ლიცენზიის პირობების შესრულებაზე კონტროლის საშუალებები, მათ შორის საჯარიმო სანქციები, ლიცენზიის შეჩერების ან ჩამორთმევის პირობები და სხვ.

დეპარტამენტებმა, როგორც ზემოთ განვმარტეთ, მოიპოვეს რა მონოპოლიური უფლება ბუნებრივი რესურსების განკარგვაზე, მოითხოვენ რომ მათ პრეროგატივაში დარჩეს აგრეთვე ლიცენზირების უფლებები, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი თვითონ გასცემენ თავის თავზე ნებართვებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე, თვითონვე თავს განუსაზღვრავენ მათი მოპოვების, გადამუშავების ტექნოლოგიებს, თვითონვე განისაზღვრავენ გადასახადების ოდენობას და მათი განაწილების წესებს, გააკონტროლებენ მათ მიერვე ლიცენზიის პირობების შესრულების მდგომარეობას, დასჯიან საკუთარ თავს, თუ საჭიროდ ჩათვლიან თვითონვე გაიუქმებენ სარგებლობაზე ნებართვებს. რა აზრი ექნება ასეთ შემთხვევაში ბუნებითსარგებლობის რეგულირებას და ლიცენზირებას?

გარემოს დაცვის სამინისტრო, ბუნების ყველა ქომაგი, დიდ შეშფოთებას გამოთქვამს, რომ უმოწყალოდ ნადგურდება საქართველოს ქონება. არის დიდი საშიშროება, რომ იგივე მოუვა ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრესაც (არა მარტო ტყეს, თევზს და სხვ.), თუ სახელმწიფომ დროულად არ შექმნა მათი დაცვის ეფექტიანი ბერკეტები. ერთ-ერთი მათგანია სწორედ რესურსებით სარგებლობის რეგულირება ლიცენზირების მეშვეობით. ეს ბერკეტი არამც და არამც არ შეიძლება იყოს თავად მოსარგებლის ხელში, არამედ ისეთი უწყებისა, რომელიც თავად არ არის მოსარგებლე, არ ეწევა სამეწარმეო, კომერციულ საქმიანობას, შექმნილია სპეციალურად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დასაცავად. ამიტომ მიგვაჩნია, რომ პარლამენტის 1995 წლის 23 თებერვლის დადგენილება სავსებით სწორია და დროულია.

დეპარტამენტების მწვავე რეაქცია პარლამენტის დადგენილებაზე მხოლოდ საგაზეთო წერილით არ შემოიფარგლა. მათ არსებითად ბოიკოტი მოუწყვეს ამ დადგენილებას, ისევე, როგორც ამავე საკითხზე სახელმწიფოს მეთაურის და მინისტრთა კაბინეტის მიერ შესაბამისად 1995 წლის 23 თებერვლის №36/23-01, 10 მარტის №55/7, სახელმწიფოს მეთაურის 30 მარტის №98 გადაწყვეტილებებს, დაადგინეს რა მათზე დაკისრებული ვალდებულებების გაჭიანურება-შეუსრულებლობის გზას. დეპარტამენტების ასეთი პოლიტიკა მხოლოდ გააძნელებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში დღეს გამეფებულ განუკითხაობას, დააბრკოლებს ინვესტიციების მოზიდვას და ჩვენი ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენებით მოსალოდნელი შემოსავლებით რესპუბლიკის ბიუჯეტის შევსებას.

რაც შეეხება საგაზეთო წერილში მოტანილ შენიშვნებს იმის შესახებ, თითქოსდა გარემოს დაცვის სამინისტრო მოითხოვდეს გეოლოგიური თუ სხვა საფონდო მასალების მისდამი გადაცემას, ეს სრულ გაუგებრობაზეა დამყარებული. გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ლიტერატურა ჩვენი წიაღისეულის შესახებ მრავალ ბიბლიოთეკასა თუ საარქივო-საფონდო საცავებშია თავმოყრილი და მათი ერთ ადგილზე გადანაცვლება შეუძლებელია და არცაა საჭირო. საინფორმაციო ფონდის შესაქმნელად საკმარისია მხოლოდ გარკვეული ფორმით შედგენილი საცნობარო მასალების თავმოყრა ისე, როგორც ეს ხდება საინფორმაციო-სტატისტიკური სამსახურებისათვის, ეკონომიკის სამინისტროს თუ სხვა დამგეგმავი ორგანიზაციისათვის. არასწორია აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, თითქოს პარლამენტის 23 თებერვლის დადგენილების პროექტს არ იცნობდნენ დაინტერესებული ორგანიზაციები. ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში პარლამენტმა დაავალა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, მრეწველობის და იურიდიულ კომისიებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების შესახებ დადგენილების პროექტის მომზადება. 1994 წ. ნოემბრის ბოლოს გაიმართა ზემოაღნიშნულ კომისიათა ერთობლივი გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გეოლოგიის დეპარტამენტის, გარემოს დაცვის სამინისტროს, სხვა დაინტერესებულ უწყებათა ხელმძღვანელებმა. სხდომაზე გადაწყდა (და ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც), რომ ლიცენზირება უნდა აიგოს ორ ძირითად პრინციპზე:

1. ლიცენზირების სისტემა უნდა იყოს ერთიანი და 2. მას არ უნდა ახორციელებდეს თვითონ მოსარგებლე (იხ. ზემოაღნიშნული სხდომის ოქმი). სწორედ ამ პრინციპის გათვალისწინებით მომზადდა შემდგომში საქართველოს პარლამენტის 23. 02. 95 № 655-II დადგენილება, აღნიშნული საკითხი კარგად იყო ცნობილი სახელმწიფოს მეთაურისთვისაც და იგი მის მიერ მოწონებულ იქნა, რასთანაც დაკავშირებით არსებობს მისი სპეციალური დავალება შესაბამისი საპარლამენტო კომისიებისა და მინისტრთა კაბინეტისადმი (23. 02. 95 № 36/23-01). ამავე საკითხზე 1994 წ. სექტემბრიდან მუშაობდა სპეციალური სამთავრობო კომისიაც. დადგენილების პროექტი პარლამენტმა განიხილა თებერვლის ბოლოს, თითქმის ნახევარი წლის შემდეგ, რაც სავსებით საკმარისი დროა იმისათვის, რომ დაინტერესებულ უწყებებს მიეღოთ სათანადო ცნობები დადგენილების შესახებ. სავარაუდოა, რომ ამან და სხვა გაუგებრობებმა შეიყვანეს შეცდომაში საგაზეთო წერილზე ხელმომწერი სპეციალისტები. დასასრულ აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე დეპარტამენტის დებულებაში ჩაწერილია ასეთი ნორმა: „დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით". სინამდვილეში კი მათი დებულებები არღვევს რესპუბლიკის არა ერთ კანონს. მაგალითად, დეპარტამენტ „საქგეოლოგიის" დებულება ერთდროულად ეწინააღმდეგება: კანონს „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" (დებულების 1, 2, 3 და ა. შ. მუხლები); კანონს „მინისტრთა კაბინეტის შესახებ" (თითქმის მთლიანად); კანონს „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ" (8, 9, 11 მუხლები) დეკრეტს „საქართველოს რესპუბლიკაში მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ" და ა. შ.

და, ბოლოს, კანონი იმისთვის იწერება, რომ შევასრულოთ, მას დავემორჩილოთ, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა, ერთი და იგივე კანონის ირგვლივ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს, მაგრამ მისი შესრულება ყველასათვის სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ვერ იარსებებს. და თუ კი სამთავრობო აღმასრულებელი ორგანოები არ ასრულებენ ქვეყანაში მიღებულ კანონებს, მაშინ სხვას რაღა უნდა მოვთხოვოთ!

გარემოს დაცვის სამინისტროს პრესცენტრი.

საუბრები ეკონომიკაზე

საბაზრო ეკონომიკამ, რომელიც ჩვენში ახლა იწყებს დამკვიდრებას, ქვეყანას, ხალხს, ხელისუფლებას უამრავი პრობლემა, საზრუნავი, თავსატეხი გაუჩინა. რეფორმების გატარების პროცესში წამოიჭრება არა ერთი და ორი საჭოჭმანო საკითხი, რომლებზეც სამთავრობო სტრუქტურების სპეციალისტებს, უცხოელ ექსპერტებსა და ჩვენს მეცნიერებს ერთიანი დასაბუთებული პასუხი არ გააჩნიათ. მკითხველი დაიბნა, აღარ იცის ვის მოუსმინოს, ვის დაუჯეროს და ვის არა. სწორედ მათ დაკვალიანებას ისახავს მიზნად ახალი რუბრიკა „საუბრები ეკონომიკაზე", რომელიც დღეიდან იწყებს „მუშაობას".

რუბრიკას ხსნის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მიხეილ ჯიბუტი,** რომელსაც ასეთი კითხვა დავუსვით:

— ოფიციალური წყაროების მტკიცებით, საქართველოში კუპონი დღითიდღე „მაგრდება". ამას იწონებს საერთაშორისო სავალუტო ფონდიც, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას გვიქადის. ეს თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად ხალხი ამას ვერ გრძნობს. ბოლო ანტიკრიზისული პროგრამა, რომელიც 12-18 თვეს მოიცავს, უკვე ერთი წლის გახდა, შედეგი კი არა და არ ჩანს. ან იქნება კი?

კუპონის გამაგრება: მითი თუ რეალობა?

— პოსტკომუნისტური ეკონომიკური ურთიერთობები, გარდამავალი ხასიათის გამო, უამრავ სიძნელეს აწყდება. ბევრი მოვლენა ქართული სპეციფიკით ისეა დამძიმებული, რომ მათი ახსნა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ერთი ამათგანია კუპონი, რომელსაც საქართველოში მუშაობა და ცხოვრება ძალიან გაურთულდა. იმის გარკვევისათვის, თუ რა ხდება ამ სფეროში, ვფიქრობ, ემპირიული, ყოფითი ცოდნა და გამოცდილება საკმარისი არ არის. აუცილებელია მივმართოთ ეკონომიკური თეორიის საფუძვლებს.

უპირველესად მკითხველს უნდა შევახსენოთ რა არის ფული. ფული არის ის, რაც მინიმუმ სამ: მიმოქცევის საშუალების, ღირებულების საზომისა და დაგროვების საშუალების ფუნქციებს მაინც ასრულებს. ფულს, როგორც მიმოქცევის საშუალებას, ვიყენებთ საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვის დროს, რითაც თავიდან ვიცილებთ ნატურალურ გაცვლას. იგი, როგორც ღირებულების საზომი, სხვადასხვა საქონელს ერთმანეთთან შესადარისს ხდის. ფულით გამოიხატება ყველა საქონელი და ადვილია მათი შედარება. სხვანაირად რთული იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რამდენი კარაქია, ვთქვათ, ერთი ტრაქტორის ტოლფასი. ფული როგორც დაგროვების საშუალება, მოსახერხებელია ნებისმიერ დროს ნებისმიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. პრინციპში, ის რაც მიიღება მიმოქცევის საშუალებად, არის ფული. თითოეული ჩვენთაგანი, რომელიც ფულს ღებულობს, დარწმუნებულია, რომ ამ ფულით ნებისმიერ დროს და მომენტში შეიძლება იყიდოს საქონელი და მომსახურება.

ასეთი თეორიული გადახვევის შემდეგ სათანადო დასკვნების გაკეთება შეიძლება. საქართველოში მიღებულია კანონი კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების შესახებ, ანუ სახელმწიფომ განაცხადა, რომ კუპონი არის ფული. ის ფაქტი, რომ კუპონი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (ნორმირებული პური, კომუნალური გადასახადები, მეტროპოლიტენი) არ არის ფული, არის არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მოვლენა. ხელისუფლება ვერ ამჟღავნებს პოლიტიკურ ნებას კანონის შესასრულებლად. კანონის აღმასრულებელი სახელმწიფო მექანიზმი არ მუშაობს. თუ ფულს, როგორც მიმოქცევის საშუალებას, არ ღებულობენ, მაშინ ის ფული არც არის. ამდენად კუპონის „გამაგრება", მისი მსყიდველობითი უნარის ზრდა (მაშინ როცა მას ასეთი უნარი არ გააჩნია) მითია. კუპონის შესახებ შეიძლება ილაპარაკო მხოლოდ როგორც ფულის ბაზრის შემადგენელ ელემენტზე (ამის შესახებ ქვემოთ).

რეალურად კი საქართველოში ფულად აღიარებულია რუსული მანეთი (რუბლი). მისი მიმოქცევით ხელისუფლება თავის მოქალაქეებთან ერთად არღვევს საკუთარ კანონს.

საყოფაცხოვრებო დონეზე რუბლის მიმოქცევაში თითქოს ცუდი არაფერია (ალბათ ასევე ფიქრობენ ქვეყნის მმართველობის უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლები), მაგრამ ეს საქართველოს ეკონომიკას რუსეთის ეკონომიკაზე დამოკიდებულს რომ ხდის, ფაქტია. საქართველოს ეკონომიკური უშიშროება დაუცველია. რუსეთში ნებსით თუ უნებლიედ შეიძლება ქვეყნისათვის უარყოფითი შედეგების მომტანი მოვლენები განვითარდეს. ამის გამო მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური დანაკარგები.

მარტივი ახსნა. როცა ადამიანს რუბლი ან ამერიკული დოლარი ჯიბეში ან ბანკში აქვს ანგარიშზე, ფიქრობს რომ მას რეალურად აქვს ფული ჯიბეში ან მის სახლთან ახლომდებარე ბანკში. ჩვენს სინამდვილეში რუბლის ადგილსამყოფელი ეკონომიკურად ყოველთვის რუსეთია (დოლარისა — აშშ-ია). საბანკო ანგარიშებზე უცხო ფული იმ ქვეყანაშია, ვინც ამ ფულის ემიტენტია (გამომშვებია). როდესაც ჩვენ ვინახავთ რუბლის კუპიურს, ამ შემთხვევაშიც ფულის „სული" რუსეთშია. ერთ მშვენიერ დღეს რუსეთმა რომ შეცვალოს თავისი ფული, საქართველოს მოქალაქეებს ვინ აუნაზღაურებს მის ხელზე არსებულ ფულად ნიშანს? არავინ; ეს ფული რუსეთისაა და მასზე საქართველოს ხელისუფლება პასუხისმგებლობას ვერ აიღებს. მაგრამ ხალხი ვისია?

უცხო ფულის გამოყენებით ჩვენ ფაქტობრივად ვეხმარებით და ვმონაწილეობთ ამ უცხო ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იფიქროს. რუსეთის ეკონომიკაში მიმდინარე ყველა ცვლილება უშუალო და უსწრაფეს გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, ორივე ეკონომიკას რუსული რუბლის სისხლი „უდუღს" ძარღვებში. ფაქტია, უახლოეს მომავალში რუსეთის ეკონომიკაში სასიკეთო ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, რაც ავტომატურად გავრცელდება ჩვენზე.

რუსეთში ეკონომიკა კრიზისშია. რუსეთში მძვინვარებს ინფლაცია. რუსული მანეთის კურსი ეცემა. რუსულ ფულს კი ჩვენ ვიყენებთ, როგორც ძირითად საგადამხდელო საშუალებას. რუსულ ფულზე მოქმედი ფაქტორები საქართველოს ხელისუფლებასა და მისი ეროვნული ბანკის იურისდიქციას არ ექვემდებარება. ეკონომიკის ამ ნაწილში (რუბლის ეკონომიკა კი მთავარია ქვეყანაში) საქართველოს მთავრობა თამაშგარე მდგომარეობაშია. მისი არავითარი ეკონომიკური პოლიტიკა აქ არ ვრცელდება. ფასები იზრდება. ფასების ზრდა კი ფულის „გამაგრების" შემთხვევაში ნონსენსია. ელემენტარული ანბანური ჭეშმარიტებაა: როცა ვალუტის მსყიდველობითი უნარი იზრდება (ანუ როგორც ვამბობთ, ფული „მაგრდება") მაშინ ფასები კლებულობს.

აქედან დასკვნა: ან ის არის სწორი, რომ ფასები კლებულობს და კუპონი „მაგრდება" ან ის, რომ ფასები მატულობს და კუპონის „გამაგრება" მითია. სხვა ვარიანტი არ არსებობს. ვერავითარი ჭკუათმყოფელი ვერ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ ფულის მსყიდველობითი უნარის ზრდა და ფასების ზრდა ერთდროულად შეიძლება მიმდინარეობდეს. ფასების გარემო, რომელშიც ცხოვრობს მთელი ქვეყანა, არ შეესაბამება მთავრობის მიერ გაცხადებულ „კუპონის გამაგრებას".

მაშ რასთან გვაქვს საქმე? ეს ხელისუფალთ მართლა არ იციან თუ სხვა მიზნებს ექვემდებარებიან? იქნებ მართლა საერთაშორისო სავალუტო ფონდი იძლევა ასეთ რეკომენდაციებს და რადგანაც ეს უკანასკნელი იხდის ფულს, მუსიკასაც ის უკვეთავს?

ეს ცალკე თემაა, მაგრამ უნდა ითქვას. მიუხედავად არაერთგზის დაფიცებისა, საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისი შედეგი არც ერთ საქმეს არ ჰქონია. ასეა ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც. დოკუმენტში „საქართველოს რესპუბლიკის განცხადება ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ", რომელიც გახდა სავალუტო ფონდიდან პირველი მნიშვნელოვანი დახმარების საფუძველი და რომელიც შეთანხმებულია სავალუტო ფონდთან, შავით თეთრზე წერია, რომ საქართველოს მთავრობა თავს იკავებს მრავალი ვალუტის მიმოქცევისაგან და მისი ყველა შესაძლო მოდიფიკაციისაგან (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1994 წ., 20 ოქტომბერი). ამ პირობას და სხვა მრავალს საქართველოს მხარე არ ასრულებს.

იქნებ მიდის მუშაობა სამანეთო სივრცის ახალი, „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" ფარგლებში მოდიფიცირებული აღდგენისათვის? მე კონკრეტული ფაქტები არა მაქვს, თუმცა ასეთი ვარაუდის დაშვება შესაძლებელია. უკვე მომზადებულია დოკუმენტი „თანამეგობრობის" ქვეყნებისათვის საგადამხდელო კავშირის შექმნის თაობაზე (იხ. გაზეთი „დსთ: საერთო ბაზარი", რუსულ ენაზე, 1994 წ. 7 სექტემბერი, № 6).

იქნებ ასე შორს მიმავალი დასკვნები საჭირო არ არის და საქმე ელემენტარულია — ვიღაცას აწყობს პოლიტიკურად კუპონის „გამაგრება" და თვლის, რომ ის „გამაგრდა". ვიღაცას აწყობს ფასების ზრდა და ის იზრდება. ვიღაცას კი აწყობს მითი კუპონის „გამაგრებისა" და ფასების ზრდის ერთდროულად, ერთ ეკონომიკურ განზომილებებში არსებობის შესახებ?

ჩემი აზრით, კუპონის „გამაგრება" კი არა მისი „დარბილება" ხდება, რბილი ვალუტით ოპერაციები საბანკო სისტემაში დიდი მოგების მომტანია. სხვათა შორის, რბილი ვალუტის რანგს განეკუთვნება საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილი რესპუბლიკის ფული, რომლებიც „თანამეგობრობის" შემადგენლობაში დარჩნენ.

აღნიშნული მოგების წყაროა კურსთა სხვაობა, კროსკურსები. რბილ ვალუტაში კოტირება, სხვადასხვაა არა მარტო ქვეყნების, არამედ ერთი ქვეყნის რეგიონებს შორისაც. ამ მექანიზმის ცენტრალური რგოლია ბანკთაშორისი ბირჟა. ბირჟაზე ფიქსირდება კურსი რუბლსა და კუპონს შორის, ასევე კუპონსა და დოლარს შორის. რუსული რუბლის შეფარდება დოლართან კუპონის მეშვეობით საქართველოში განსხვავებულ სიდიდეს წარმოადგენს, ვიდრე რუსული მანეთის უშუალო შეფარდება დოლართან რუსეთში. ხდება ამ სხვაობის გამოყენება. შუალედურ რგოლებად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ქვეყნის რბილი ვალუტაც.

სავალუტო სპეკულაციის საშუალებას საქართველოში ზრდის ის ფაქტი, რომ ფულად ბაზარზე კუპონის „გამაგრებას", რუსული რუბლის მიმართ ახდენს ეროვნული ბანკი, მაშინ როცა კუპონის კურსი დოლართან მიმართებაში უცვლელია. 23 იანვრიდან 1 დოლარი უდრის 1.300.000 კუპონს, ხოლო რუსულ რუბლთან შეფარდება 1 კუპონი — 281 რუბლიდან შეიცვალა 1 კუპონი 225 რუბლამდე. საქმე გვაქვს აქაც ქართულ ფენომენთან. ფაქტობრივად კუპონის კურსი დოლარებში დადგენილია (ფიქსირებულია) ხოლო რუბლებში თავისუფალი (მცოცავი). კუპონის კურსი დოლარებში არ არის საბაზრო, არ არის ფაქტიური. ასეთი სიტუაცია ხელს აძლევს სავალუტო სპეკულიანტს, მაგრამ არა მეწარმეს. ეს არც ბანკებისთვის არის ხელსაყრელი.

გაუგებარია, რატომ არ ხდება ამ მოვლენის ინტერპრეტაცია წამყვანი ეკონომიკური სამსახურებისა და უმაღლესი ეკონომიკური ჩინების მიერ? არარეალურმა დეფლაციამ თითქმის ყველა საწარმო საბოლოოდ გახადა გადახდისუუნარო. გადაუხდელი ვალები ქვეყნის უმთავრესი პრობლემაა. უმუშევრობა გახდა რეალური. რუსულ რუბლზე „ლევად" მუშაობაც გახდა წამგებიანი. კუპონის ვითომ გამაგრება სინამდვილეში მისი რეალური სიკვდილია. ფულის სიკვდილი კი იწვევს ბანკების სიკვდილს. თუ გაგრძელდა მოჩვენებითი, პოლიტიკური მიზნებით თამაში, ეკონომიკაში საბანკო სისტემის კრახს ვერ გადავურჩებით. ბევრი რეგიონი უბანკოდ დარჩება.

კუპონის „გამაგრება" რომ რეალური ყოფილიყო, ეს გამოიწვევდა ფასების დაწევას, გაიაფებას. დაბალი ფასების გამო საქონელი შეიძენდა კონკურენციის უნარს, ხოლო საექსპორტო პოტენციალი გაიზრდებოდა. შესაბამისად გაუმჯობესდებოდა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი. საგადამხდელო ბალანსი კი უზოგადესად ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობაა. ქვეყანას მუდმივად ვალებით ცხოვრება არ შეუძლია. თუ იმპორტი პერმანენტულად აჭარბებს ექსპორტს, მაშინ ხდება სახელმწიფოებრივი ბანკროტობა (კრედიტები იმპორტისათვის ქრება). ვალებით საექსპორტო პოტენციალი არ იზრდება.

მაშინ რას წარმოადგენს სავალუტო ფონდის ვალები, რომელსაც ეროვნული ბანკი ეგრეთ წოდებული „დეფლიაციის" მიზნით იყენებს? სავალუტო ფონდი მხარს უჭერს საქართველოში რეალური ფულის ჩამოყალიბებას, კუპონის რეალური კურსის არსებობას. მაგრამ მისი რეკომენდაციები კომპლექსურად თუ არ შესრულდა, მაშინ გამოყოფილი თანხა დაიხარჯება, გაიწოვება რუსულ ეკონომიკურ სივრცეში, ჩვენ კი დაგვრჩება იგივე ძალისა და იგივე შესაძლებლობების კუპონი, რაც დახმარების გამოყენების დასაწყისში. ეკონომიკა ვერ მიიღებს განვითარებისათვის იმპულსს სრულფასოვანი ფულის სახით. საქმეს ვერ უშველის ლარის შემოღებაც. თუ არ შეიცვლება გარეშე ფაქტორები, ლარს იგივე ბედი ეწევა, რაც კუპონს. ჯერჯერობით კუპონის „გამაგრების" მითს მხოლოდ ქვეყნის ვალების რეალობა ახლავს. საქართველოში შვიდი წლის შემდეგ რომ ადამიანი დაიბადება, მისთვისაც კი ვალები უკვე გამზადებულია. თუ ვალებს დანიშნულებით არ გამოვიყენებთ, უპრიანია ისინი საერთოდ არ ავიღოთ. არც ფულის შემოღებაა მიზანშეწონილი ამ სიტუაციაში. საკმარისია დენომინაციის გატარება.

დეფლიაცია ფასების შემცირებას ნიშნავს, ინფლაცია — ფასების ზრდას. როდესაც ქვეყნის ავადმყოფობა ინფლაციაა და მას მკურნალობა სჭირდება, არ შეიძლება მოჩვენებით მდგომარეობის გაუმჯობესება. ამომრჩევლის მოტყუება შეიძლება, ეკონომიკური კანონზომიერებების არა. კუპონის ვითომ „გამაგრება", რომელიც მხოლოდ რუსული რუბლის მიმართ ხდება და არ ეხება აშშ დოლარს(?), ქვეყნისათვის ეკონომიკურ საშიშროებას ქმნის. რუსულ რუბლთან კუპონის ხელოვნური კურსის აწევა ნიშნავს, რომ საქართველოში წარმოებული საქონელი რუსეთში წარმოებულ საქონელთან შედარებით ძვირდება. საქართველოში წარმოებული საქონელი რუბლებში იმ ფასის გახდა, რომ ფასებით კონკურენციაში რუსეთის ბაზარზე არსებულ ფასებს ვერ უძლებს. მეორე მხრივ, რუსეთში ნაყიდი საქონელი ქართულ საქონელთან შეფარდებით იაფდება და იმპორტს სტიმული ეძლევა. მათ შორის ისეთი პოზიციების მიხედვით, რომელიც საქართველოში იმპორტით არ შემოდიოდა. იაფი იმპორტული საქონელი აჩერებს იმავე სახის ქვეყნის შიგნით ძვირ წარმოებას. ამდენად, რაც არ უნდა „ამაგრო" კუპონი, სანამ საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკა არათანამიმდევრულია, არ ექვემდებარება პროგნოზირებას, ეკონომიკაზე ბატონობს პოლიტიკა, არ არის ერთიანი სამოქმედო ინდიკატური გეგმა, ის მაინც „რბილი" იქნება.

პასუხი დასაბეჭდად მოამზადა ოთარ ხუციშვილმა.

ფაშიზმზე გამარჯვების ზეიმი



მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის დღესასწაულის პროგრამის ფარგლებში საქართველოში გრძელდება ამ თარიღის ზეიმობა. 9 მაისს უცნობი ჯარისკაცის საფლავთან რესპუბლიკის დედაქალაქის გამარჯვების პარკში ომის ვეტერანებთან ერთად მოვიდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, სხვა ოფიციალური პირნი. მათ ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი. დაღუპულ მეომარს მხედრული პატივი მიაგეს საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და რუსეთის ჯარების წარმომადგენლებმა. მათ საზეიმო მარშით ჩაიარეს საფლავის წინ. აქვე გაიმართა კონცერტი და მასობრივი სეირნობა.

იმავე დღეს ზეიმი გრძელდებოდა საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში.

თედო ნიკოლაიშვილის, გიორგი ცაგარლის და გიორგი შარაშენიძის ფოტო.

ჯანსუღ ჩარკვიანი

კულიკოვის ახალი სიტყვა სტალინზე

(ირონიული)

წუხელ გადმოსცა მოსკოვიდან,
ყველა „მოამბემ“,
გაიმეორეს კიდევ ამ დილას —
კაცი, რომელიც
თავზე აჭდათ —
ვერ ჩამოაგდეს...
თურმე ცხენიდან
უსირცხვილოდ ჩამოვარდნილა.

• • •

წინ ვერ გავუსწრებ (რა თქმა უნდა)
ყველა მოვლენას,
მაგრამ შორიდან,
იმდროინდელს გავსცქერ პოლიგონს,
ნეტა იმ კაცის ჩამახედა
ტვინში, რომელმაც
ამდენი ბრიყვი გენერალით
ომი მოიგო.

1995 წელი, აპრილი

ინფორმაცია

„...რაც სიცოცხლით არ ახდა...“

ნიჭიერი პოლიტიკოსი, ნათელი და მომხიბვლელი პიროვნება, მგზნებარე და უკომპრომისო მებრძოლი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი... დღეს ყველა ეს ეპითეტი უფერული და უძლური ჩანს მის ჭეშმარიტ სახესთან შედარებით და ჩვენ უბრალოდ ვამბობთ — გიორგი ჭანტურია...

ეს სახელი, დღეს უკვე უკვდავების შარავანდედით მოსილი, ისეთივე მარადიულია, როგორც თავად იდეა, რომლის ერთგულებასაც შეეწირა ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერი. თუმცა შეეწირა — მხოლოდ ფიზიკურად. მის საქმეს აგრძელებს მის მიერ აღორძინებული პარტია, მის საქმეს აგრძელებს საქართველო — ქვეყნის თავისუფლებისა და სუვერენიტეტის იდეის ერთგული.

6 მაისს, წმინდა გიორგის ხსენების დღეს, თბილისის ქუჩებში ერთხელ კიდევ ხმამაღლა გაისმა გიორგი ჭანტურიას სახელი. ამ დღეს თბილისმა და თბილისელებმა ერთხელ კიდევ მიაგეს პატივი მოწამეობრივად აღსრულებული პატრიოტისა და მოქალაქის ხსოვნას. გორგასლის ქუჩაზე, სადაც სიყრმის წლები გაატარა გიორგი ჭანტურიამ, და ბალანჩივაძის ქუჩაზე, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა იგი, გაიხსნა მემორიალური დაფები. დედაქალაქის ცენტრალურ უბანში ჯორჯიაშვილის ქუჩას ამიერიდან გიორგი ჭანტურიას სახელი ეწოდება. მისივე სახელის ტარების პატივი ხვდა წილად თბილისის 68-ე საშუალო სკოლას. ამგვარად, თბილისის ამ ერთ პატარა ნაწილში ერთგვარად შეიკრა და გამთლიანდა გიორგი ჭანტურიას ცხოვრების თითქმის ყველა ეტაპი — 1-ლი საშუალო სკოლის მოწაფეობიდან ქაშვეთის ეკლესიის ეზოში მარადიულ განსასვენებლამდე.

ამ დღეს გიორგი ჭანტურიას იდეებისა და საქმის ერთგულება კვლავ საქვეყნოდ გამოაცხადეს მისმა თანამებრძოლებმა და თანამოაზრეებმა — ქართველმა ეროვნულ-დემოკრატებმა. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფ ღონისძიებაზე მოვიდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

გოლების წვიმა

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის 26-ე ტურის 8 შეხვედრაში ბურთების სარეკორდო რაოდენობა — 39 გავიდა, თუმცა, ასეთ შედეგიანობას ტურნირის ფავორიტთა მდგომარეობაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია: „დინამო“ — „მეტალურგი“ — 3:0, „სამტრედია“ — „მარგვეთი“ — 2:0, „კოლხეთი“ — „ივერია“ — 8:1, „ბათუმი“ — „გურია“ — 6:0, „ტორპედო“ — „დილა“ — 4:0, „კახეთი“ — „ზუგდიდი“ — 4:3, „დურუჯი“ — „შევარდენი“ — 3:1, „სამგურალი“ — „საპოვნელა“ — 2:2.

„სამტრედია“ — 67, „დინამო“ — 65, „კოლხეთი“ — 57 ქულა.

დღეს მორიგ ტურში დიდ ინტერესს იწვევს „ზუგდიდი“ — „დინამოსა“ და „დილა“ — „სამტრედიას“ შეხვედრები, ზეგ კი ფოთში გაიმართება უმნიშვნელოვანესი გამოტოვებული მატჩი „კოლხეთი“ — „დინამო“.

ევროპის სტადიონებზე

კონტინენტის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში დასასრულს უახლოვდება ეროვნული ჩემპიონატები.

იტალია. „იუვენტუსი“ — „ლაციო“ — 0:3, „პარმა“ — „ჯენოვა“ — 1:1.

„იუვენტუსი“ — 62, „პარმა“ — 55 ქულა.

ესპანეთი. „რეალი“ — „სან-სებასტიანი“ — 0:0, „დეპორტივო“ — „ბარსელონა“ — 1:0, „ხიხონი“ — „სარაგოსა“ — 1:3, „ბეტისი“ — „ოვიედო“ — 0:0.

„რეალი“ — 49, „დეპორტივო“ — 42, „სარაგოსა“ — 39, „ბარსელონა“ და „ბეტისი“ — 38-38 ქულა.

გერმანია. „ვერდერი“ — „დორტმუნდი“ — 3:1, „ფრაიბურგი“ — „კაიზერსლაუტერნი“ — 4:1.

„ვერდერი“ — 42, „დორტმუნდი“ — 41, „ფრაიბურგი“ და „კაიზერსლაუტერნი“ — 39-39 ქულა.

ქართული სპორტის პრობლემები

ნაშთი ძველი დიდებისა...

ჩოგანი

ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის სპორტსკოლა...

ჩამტვრეული მინები, აქა-იქ მიყრილ-მოყრილი მაგნეზია, რომელიც ასე ძნელი საშოვნელი გამხდარა დღეს, უსუსურად მომზირალი გალეული ტანვარჯიშული იარაღები და მყარად შეფუთული მდუმარე როიალი...

ამ სურათს, არა მგონია, სპორტის გულშემატკივარმა აუღელვებლად შეხედოს. მოდით, გულის გასამხნევებლად, ისტორიის ჯადოსნური წიგნი ცოტა ხნით წინ გადავფურცლოთ...

ქართული ტანვარჯიშის პატრიარქები: გიორგი ეგნატაშვილი, გიორგი ნიკოლაძე, არჩილ ბაქრაძე, გიორგი ბაბილოძე, გულო რცხილაძე, მზია ჯუღელი, კოკა მეიფარიანი, ლევან ყანჩაველი, კოტე ზაალიშვილი, განს ბურჯანაძე, „ასი ათასი იმედის“ გოგონა — ნინა დრონოვა, მსოფლიოში ულამაზესი ტანმოვარჯიშე — რუსუდან სიხარულიძე და მრავალი ლეგენდარული ქართველი სპორტსმენი, რომელთა სახელებიც ქართული ტანვარჯიშის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება...

ნუთუ შეიძლება ასეთი მყარი საფუძვლის მქონე სპორტი ერთი ხელის მოსმით დაინგრეს? ესოდენ დიდი დაძაბულობისა და მტანჯველი სიამოვნების შედეგად მიღწეული ხელიხელსაგოგმანები ამხელა ისტორია მხოლოდ უგულისყურობის გამო წარსულს ჩაბარდეს? რა თქმა უნდა, არა.

ტანვარჯიში სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც გულისხმობს სილამაზეს, გრაციას, პლასტიკას. რამდენადაც მიმზიდველია ტანვარჯიშული სამყარო, იმდენად ულმობელია იგი სპორტსმენთათვის. ტანმოვარჯიშე უხეირო ფეხბურთელივით თუ კალათბურთელივით ზურგს უკან ვერავის ამოეფარება. აქ საქმე ეხება უზუსტეს ნიუანსებს, რომლის სულ მცირე დარღვევაც კი მაშინვე იმოქმედებს შედეგზე.

რომ არა დიდი შემართება, საქმის სიყვარული, ამ პირობებში ნამდვილად არ ივარჯიშებდნენ.

— 1993 წლიდან სპორტსმენებს ფინანსურ დახმარებას ვეღარ უწევს სპორტული ტანვარჯიშის ფედერაცია. შესამჩნევად შემცირდა ვარჯიშის მსურველთა რაოდენობაც. ეს არც არის გასაკვირი. არ გვაქვს სახსრები, რომ დარბაზი გავათბოთ, შხაპზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დახმარება კი არსაიდან ჩანს, — გულდაწყვეტით შემოგვჩივლა საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ზიგფრიდ გვეტაძემ.**

საქართველოს ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **როინ პახიკაშვილმა** კი საწვრთნელი ინვენტარის სავალალო მდგომარეობაზე მოგვითხრო. რაც შეეხება ფორმას, შვიდი წელიწადია აღარ მიუღიათ...

რა თქმა უნდა, ამ პირობებში შეჯიბრმაც დაკარგა ის ძველებური სილამაზე და ლაზათი, რის გარეშეც წარმოუდგენელია სპორტული ტანვარჯიში. მაგრამ ჩვენ ხომ ოპტიმისტები ვართ და უკეთესი მომავლის იმედით ვცხოვრობთ! თუმცა, ასე თუ ისე გამონათებები ყველა სფეროში არის და არც ქართული ტანვარჯიშია გამონაკლისი.

ქუთაისელი ილია გიორგაძისთვის ბედს გაუღიმია და ერთ-ერთ ადგილობრივ ფირმას უკისრია სპონსორობა. დღეს იგი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის კანდიდატია და მწვრთნელ ნიკოლოზ ჭანტურიასთან ერთად უკვე რამდენიმე თვეა მოსკოვში გადის წინასაოლიმპიადო მზადებას. ამ სპორტსმენზე სპეციალისტები დიდ იმედს ამყარებენ.

[illegible] ტანმოვარჯიშეთა ნაკრები კი, როგორც გოგონები, ასევე ვაჟები, ემზადებიან ევროპული ახალგაზრდული დღეებისათვის, რომელიც ინგლისში ჩატარდება 5-15 ივნისს. როგორც ქალთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **რიტა მჭედლიშვილმა** გვითხრა, ამ შეჯიბრებისთვის გუნდს, სპორტის კიდევ ოთხ სახეობასთან ერთად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აფინანსებს. ნაკრებს ასევე იწვევენ სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ წასვლაზე არც კი ფიქრობენ. თუ რატომ, ამას დიდი მიხვედრა არ უნდა...

ამ წერილის წაკითხვაზე ზოგს შეიძლება გაეცინოს კიდეც, რა დროს სპორტიაო. მართლაც, დღეს საქართველოში არსებულ უამრავ პრობლემას შორის ძნელი გამოსარჩევია რომელიმე ერთი, მაგრამ ნუ გვავიწყდება, რომ ქართული სპორტი, ხელოვნებასთან ერთად, უცხოეთში, ჩვენს ეროვნულ სახეს წარმოაჩენს და ისიც გვახსოვდეს — ერის ჯანსაღი ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი მხოლოდ სპორტშია.

ეს ჭეშმარიტება, ვფიქრობთ, კარგად მოეხსენებათ ერისკაცებს, ადამიანებს, ვისაც ხელეწიფებათ რეალური დახმარება აღმოუჩინონ საერთოდ ქართულ სპორტს და, კერძოდ, ტანვარჯიშს. ბევრი ჩვენი ბიზნესმენი, ყოფილი ტანმოვარჯიშე და სპორტსმენი, გვჯერა, გულთან ახლოს მიიტანს ამ დიდებული სპორტის მძიმე მდგომარეობას.

სპონსორებს ელიან ჩვენი მომავალი თაყაიშვილები, ჯუღელები, ჯაიანები, მაკალათიები, ჩიხრაძეები, ალფაიძეები, შამუგიები, გოგოლაძეები.

და ეს უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, ჩქარა, თორემ „მატარებელი გაგვასწრებს“.

ხათუნა ჭუმბურიძე.

ტოფობასთან დაკავშირებით თევზჭერა იკრძალება

საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ თევზის საზაფხულო ტოფობასთან (ქვირითობასთან) დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის შიდა წყალსატევებში (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები) 1995 წლის 1 მაისიდან 31 აგვისტომდე აკრძალულია ყოველგვარი თევზჭერა, გარდა სამეცნიერო-კვლევითი და საკონტროლო ჭერისა. რაც შეეხება ხრამისა და თბილისის წყალსატევებს, ეს აკრძალვა გავრცელდება 15 მაისიდან 31 აგვისტომდე.

ფარავნის, საღამოსა და ტაბაწყურის ტბებზე, სადაც სატოფე პერიოდი მოგვიანებით — შემოდგომაზე იწყება, ეს აკრძალვა არ ვრცელდება.

მთელი სატოფე პერიოდის განმავლობაში, თევზჭერასთან ერთად, მდინარეთა კალაპოტებიდან იკრძალება ინერტული მასალების ამოღება, ხე-ტყის დაცურება და სხვა სამეურნეო სამუშაოების შესრულება.

გარემოს დაცვის სამინისტრო თხოვნით მიმართავს სახელმწიფო და კომერციული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მოყვარულ მეთევზეებს, საქართველოს მთელ საზოგადოებას, რომ გაგებით მოეკიდონ ამ ღონისძიებას და შექმნან თევზის ტოფობისათვის ხელსაყრელი პირობები. ეს ხელს შეუწყობს თევზის მარაგის შენარჩუნებას.

გარემოს დაცვის სამინისტროს პრესცენტრი.

წლები

ღვაწლმოსილი

ჩვენს მეგობარს და კოლეგას, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს ნიკოლოზ აბესაძეს დაბადების 90 და შრომითი მოღვაწეობის 65 წელი შეუსრულდა. იგი ეკუთვნის საქართველოში გაზრდილ ინჟინერთა იმ პირველ თაობას, რომელსაც წილად ხვდა აგრარული ქვეყნის ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანა. რთული და ხანგრძლივი გზა განვლო ბატონმა ნიკოლოზმა. მისი შემოქმედებითი ცხოვრება ორ სრულფასოვან პერიოდს მოიცავს, რომელთაგანაც თითოეული საკმარისი იქნებოდა, რომ ადამიანს ხალხის წინაშე მოვალეობა შესრულებულად ჩაეთვალა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1930 წელს, ბატონმა ნიკოლოზმა მუშაობა დაიწყო ტრესტ „საქნავთობში“, სადაც მოკლე ხანში განვლო გზა რიგითი ინჟინრიდან ტრესტის მმართველამდე. ეს ის დროა, როცა ჩვენში საფუძველი ეყრებოდა ნავთობის ძიებასა და მოპოვებას. მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში აღმოჩენილი ნავთობისა და გაზის საბადოების დიდი ნაწილი, სხვადასხვა ნავთობსარეწების შექმნა. დარგის განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა მისი პროფესიონალიზმი, რომელსაც დღემდე უანგაროდ უზიარებს თავის მრავალრიცხოვან მოსწავლეებს.

ბატონ ნიკოლოზ აბესაძის მოღვაწეობის მეორე პერიოდი იწყება 1965 წლიდან, როცა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დოცენტად მუშაობას შეუდგა (თუმცა, იგი აქ შეთავსებით 1955 წლიდან მუშაობდა). აქ მისი თაოსნობით გაიხსნა ჭაბურღილების ბურღვისა და ექსპლუატაციის სპეციალობები, ჩამოყალიბდა ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის კათედრა. ერთხანს იგი ამ კათედრის გამგის მოვალეობას ასრულებდა. მისი ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა დაეუფლა ინჟინერ-მბურღავის რთულ სპეციალობას. მისივე ნამოღვაწარებით არის ძირითადად დაკომპლექტებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჭაბურღილების ბურღვის ტექნიკისა და ტექნოლოგიის კათედრა. იგი არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

წლებმა თავისი გაიტანა და ბატონი ნიკოლოზი ნელნელა ჩამოშორდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. თუმცა, მაინც აგრძელებს საყვარელი საქმის კეთებას. მან შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნა მშობლიურ ქვეყანას — 1993 წელს გამოსცა უაღრესად საჭირო და ორიგინალური სახელმძღვანელო „ნავთობისა და აირების ჭაბურღილების ბურღვა“.

ტკბილ სიბერეს და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ ბატონ ნიკოლოზ აბესაძეს.

რ. თევზაძე,
დეპარტამენტ „საქნავთობის“ თავმჯდომარე, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;

ზ. მგელაძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი „რუსთავი“ სამძიმარს უცხადებს საქართველოს სახალხო არტისტს, ფრიდონ სულაბერიძეს დედის
ნადია ანთიმოზის ასულ ჟვანიას
გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი — 12, 13 V, 3 ს., გამოსვენება — 14 V 2 ს., ნიკოლაძის ქ. № 5-ა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
ოთარ ბენიამინის ძე ელენტი
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო სამძიმარს უცხადებს ბატონ კოტე ელენტს, მამის
ოთარ ბენიამინის ძე ელენტის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო ექსპერტიზის კვლევითი ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა, ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
ოთარ ბენიამინის ძე ელენტი
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საქართველოს“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან ლტოლვილი, კომბინატის იურიდიული განყოფილების უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი
მამანტი (მემედ) გრიგორის ძე ქეცბაია
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ლენა, შვილები ნანა, ზურაბი, ძმა გოგი კუჭუხიძე, რძალი ქეთინო ბოფერია, სიძეები ლევან გარდაფხაძე, კახა კორძახია, შვილიშვილები თეა, შალვა, კოტე, ნინო, შვილთაშვილი სანდრო, ძმიშვილები ნინო, ლევანი ოჯახებით, ბიძაშვილი ეთერ აბაზაძე, მძახლები ჟენია იაკობაშვილი, ნუნუ, ზურაბ ბოფერიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
კონსტანტინე სევასტის ძე კუჭუხიძე
პანაშვიდი 12, 13 V, 3 სთ., გამოსვენება 14 V 2 სთ., ფალიაშვილის 39. (I სადარბაზო).

ხსოვნა

ოთარ ელენტი

მოულოდნელად გარდაიცვალა ქართველ [illegible] ერთ-ერთი [illegible], იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ ბენიამინის ძე ელენტი.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ოთარ ელენტმა დამნაშავეობასთან ბრძოლის სამსახურში გაატარა და ყველგან, სადაც კი მუშაობა მოუხდა, კვალიფიციური სპეციალისტის სახელი დატოვა.

დაიბადა 1928 წელს. 1945 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და უშუალოდ აირჩია ექსპერტ-კრიმინალისტის სპეციალობა. 1951 წელს მოსკოვში გაიარა საკავშირო იუსტიციის სამინისტროს ექსპერტ-კრიმინალისტთა სპეციალური კურსები და მას შემდეგ, თითქმის მხოლოდ ამ ფარგლებში აგრძელებდა თავის საქმიანობას. 1956 წელს მან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის საკვლევ-სამეცნიერო კრიმინალისტურ ლაბორატორიაში უმცროს მეცნიერ-მუშაკად დაიწყო მუშაობა, განვლო ექსპერტის მეტად რთული, მაგრამ საინტერესო გზა, ჩამოყალიბდა სპეციალისტად და გახდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი. თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი სულ ცოტა ხანს მოსწყდა თავის საყვარელ საქმეს, როდესაც 1966 წელს გურჯაანის რაიონის პროკურორად დაინიშნა, მაგრამ გულმა კვლავ საყვარელი საქმისაკენ გაუწია და ისევ 1976 წელს სათავეში ჩაუდგა ახლადშექმნილ კრიმინალისტურ ლაბორატორიას. 1991 წლის დეკემბერში მეგობრებმა და თანამშრომლებმა დამსახურებულ პენსიაზე გააცილეს ოთარ ელენტი, რის შემდეგაც ლექციების წასაკითხად მიწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

გულისხმიერი პიროვნების, ცნობილი ექსპერტ-კრიმინალისტის, ქვეყნისა და ახლობლების წინაშე ვალმოხდილი იურისტის ოთარ ელენტის სახელი დაუვიწყარი იქნება ყველასათვის, ვისაც იგი იცნობდა, ვისთანაც მუშაობდა და ურთიერთობა მოუხდა.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის იურისტთა კავშირი, სასამართლო ექსპერტიზის კვლევითი ცენტრი.

ილია კაპანაძე

გარდაიცვალა რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი ილია კაპანაძე.

დაიბადა 1925 წელს. ნიჭიერთა მუსიკალურ სასწავლებელში სწავლის პერიოდში (1944-46 წ. წ.) გახდა მარო თარხნიშვილის ხალხური სიმღერის გუნდის სოლისტი. ამის შემდეგ ი. კაპანაძე გადადის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში. პარალელურად კი ამთავრებს თბილისის პედაგოგიურ და მოსკოვის გნესინების სახელობის მუსიკალურ ინსტიტუტებს.

1956 წლიდან იგი საქართველოს ხალხურ საკრავთა ანსამბლის სოლისტია და 1957 წ. მონაწილეობას იღებს მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალში.

მოგვიანებით ი. კაპანაძე ქუთაისში პირველად რესპუბლიკაში ჩამოყალიბებულ სახალხო ოპერის თეატრში წარმატებით ასრულებს მალხაზის პარტიას და ამით იგი კიდევ უფრო პოპულარული ხდება მუსიკალურ სამყაროში.

1958 წლიდან ილია კაპანაძე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტია და ასრულებს მთელ რიგ წამყვან პარტიებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წარმატებული გამარჯვება დიდი თეატრის ფიცარზე საქართველოს ხელოვნების დეკადის დღეებში.

სხვადასხვა დროს ი. კაპანაძე ხელმძღვანელობდა კულტურის ორგანიზაციებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა 1981 წლიდან საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში, სადაც მაქსიმალურად გამომჟღავნდა მისი პედაგოგიური და ორგანიზატორული უნარი — ჩამოაყალიბა ბავშვთა და მოზარდთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, თეატრალური, ლიტერატურული და სხვა წრეები. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მას არ დასცალდა ბევრი სასიკეთოდ წამოწყებული საქმის დამთავრება.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და მეგობარი, ხუთი შვილის აღმზრდელი, კეთილი და სათნო პიროვნება.

ილია კაპანაძის სასიამოვნო ტემბრით შესრულებული კლასიკური და ქართული ხალხური სიმღერები დაუვიწყარი იქნება მისი თაყვანისმცემლებისათვის.

მეგობრები და ახლობლები.

მამუკა გომართელი



ვაი რომ, ოცდამეცხრე გაზაფხულმა იმქვეყნად უნდა უმეგზუროს, გაზაფხული კიდევ ბევრჯერ მოვა, მაგრამ **მამუკა** აღარ დაბრუნდება.

ოცდაცხრა წელი არც ისე ბევრია, მამუკას შესახებ კი ბევრის თქმა შეიძლება.

გომართელების ოჯახში დიდ თაყვანს სცემდნენ სპორტს. დედა მოთხილამურე იყო, მამა — შტანგისტი. ამიტომ ახალგაზრდა მეცნიერებს არც გაკვირვებიათ შვილის არჩევანი. ექვსი წლის ბიჭმა „დინამოს“ საუცუმალოდან ყოველდღიური, თავდაუზოგავი შრომით დიდ აუზში გადაინაცვლა და შედეგმაც არ დააყოვნა. თექვსმეტი წლის ასაკში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. სპორტის ოსტატი, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი, საქართველოს ორგზის ჩემპიონი ას და ორას მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი... წლების მანძილზე სხვა მრავალ ტიტულთან და ეპითეტთან კონტექსტში მოიხსენიებოდა მისი გვარ-სახელი.

თბილისის 58-ე სკოლას და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ეამაყებოდა თავისი აღზრდილი, მშობლებს — მოსიყვარულე დედისერთა, მაიკოს — საიმედო ძმა, თამარს — ერთგული მეუღლე, პატარა მიშიკოს — მზრუნველი მამა, ფირმა „მორკინალის“ კოლექტივს — გულთბილი და გონიერი გენერალური დირექტორი, თანატოლებს — ჭირისა და ლხინის გულწრფელი მოზიარე.

ყველამ ერთად დავკარგეთ ნამდვილი მეგობარი, ცისფერ თვალებში ვარსკვლავები რომ უკრთოდა, გულში მზე უციმოდა.

გაზაფხული კიდევ ბევრჯერ მოვა, მამუკა კი აღარ დაბრუნდება. განშორების სევდას ნუგეში ანელებს — ჩვენც წუთისოფლის სტუმრები ვართ, ადრე თუ გვიან, ჩვენც იმ ზეციურ გზას დავადგებით, კეთილი და სათნო ღიმილიანი მამუკა ნაადრევად რომ დაადგა.

ახლობლები.

გახსენება

შოთა გუმბარიძე

მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩვენი მეომრების განუმეორებელი გმირობისა და სიმამაცის თანამონაწილე იყო სახელოვანი მამულიშვილი, ომის ვეტერანი, თვალსაჩინო იურისტი, მარად კეთილად მოსაგონარი შოთა გუმბარიძე. დღეს იგი ქართულ მიწაში განისვენებს. ბატონი შოთა 1939 წელს საბჭოთა არმიის რიგებში ფოთის სამხედრო კომისარიატმა გაიწვია. ომმა ბალტიისპირეთში მოუსწრო. სად არ ატარა ომის გზამ: იბრძოდა ესტონეთში, ფინეთში, კრონშტადტში, ბალტიის ზღვაზე, ლენინგრადთან, იყო ლენინგრადის ბლოკადაში...

„რიგითი მეზღვაური შოთა გუმბარიძე სიმამაცის, მოხერხებულობის, მტერთან შეუპოვარი ბრძოლის მაგალითს იძლევა“, — წერდა „ლენინგრადსკაია პრავდა“. აღფრთოვანებულ, განაწამებ ლენინგრადში 1942 წლის მრისხანე და პირქუშ დეკემბრის თვეში, ცენტრალური სამხედრო ჰოსპიტლის მეასე წლისთავის იუბილეზე, პალატის ექიმმა ბალხით სავსე დარბაზს სულით გაუტეხელი პაციენტი გუმბარიძე გააცნო. მას ხომ ოთხი უმძიმესი ოპერაცია გაუკეთეს! 22 წლის ვაჟკაცს ლენინგრადის მისადგომებთან მძიმე ბრძოლებში მტრის აფეთქებულმა ნაღმმა ორივე ხელი დაულეწა.

მძიმე ჭრილობებმა სულით ვერ გატეხა შოთა გუმბარიძე, 1943 წელს სამშობლოში დაბრუნებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა და იურიდიული ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა.

ჯერ რესპუბლიკის პროკურატურაში მუშაობდა, იყო თბილისის ოქტომბრის რაიონის, შემდეგ ორჯონიკიძის რაიონის პროკურორი, პირველი მაისის რაიონის სახალხო მოსამართლე. არჩეული იყო ამ რაიონის საბჭოს დეპუტატად.

ნიჭიერმა და მცოდნე, სამართლიანმა და პრინციპულმა ადამიანმა ყველგან, სადაც კი იღვაწა, საერთო აღიარება და პატივისცემა დაიმსახურა. დაჯილდოებული იყო ორდენებით, მედლებითა და საპატიო სიგელებით.

გავიდა წლები... და ომგადახდილი მამის ნაამბობით, საბრძოლო ეპიზოდებით ბავშვობიდან აღფრთოვანებულმა ქალიშვილმა — ქეთო გუმბარიძემ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ამ საოცნებო ქალაქს, ლენინგრადს მიაშურა და იქ პირველი სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა.

შოთა გუმბარიძის ოჯახის წევრები: მეუღლე, ქალიშვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები სიამაყით იგონებენ მრავალ პირგამოვლილ, ნამდვილ ადამიანს და მოწიწებით თავს ხრიან მისი ხსოვნის წინაშე.

მეგობრები.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.